# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 42 სამშაბათი, 23 თებერვალი 1910 წ. № 42

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე; მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში [illegible] რა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] თი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ [illegible] დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ხუთ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 [illegible] დღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი

### მ. ა. გაყონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:

(10—6) ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.

### ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ხ.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლე ი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—116).

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ხ. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—278)

### სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიათ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შეხადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას (45—151—12)

### ისე ძნელი არ არის გაარჩიოთ

კარგი პაპიროსები ცუდისაგან, როგორც ეს გვეჩვენება. გთხოვთ მხოლოდ შინჯოთ პაპიროსები ახალ თამბაქოს ფაბრიკის სავ. სახ. „ძმ. სეილანოვები"

ზეფირი 25 ც. 15 კაპ. და 10 ც. 6 კაპ.

ვოსხოდი 10 ცალი 5 კაპ.

მარსი 20 ცალი 5 კაპ.

—◀ რომ დარწმუნდეთ რომ ეს პა-

—◀ პიროსები ყველა ცნობილ

—◀ პაპიროსებს სჯობია.

სათუთუნო ფაბ. სავ. სახ. „ძმები სეილანოვები".

(15—ტ.—7)

### ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

### ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

### ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

### ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

### ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნის ქ., № 9. (უ)

### ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი გირპიჩნაია). (0—65

### ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

### ექიმი მ. დ. ბეთანოვი ქუთაისში,

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—24)

### ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—123)

### ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელიშვილის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—372)

### ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კავკაროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—32)

### ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—23

### სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—22

### ექიმი გ. მაგაკიანი

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—103)

### კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—106)

### ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—9)

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½ დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**კალმახაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ატამანის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის მრატით. (100—ნ.—11)

### დ. ქარელში

**მედიცინის ფერშალი ლ. პ. ჯინორიძე**

იღებს და ნახულობს ავადმყოფებს, უკეთებს ზოგიერთ ჭრილობებს (ოპერაციას), კანში შესასხამ წამლებს, მასაჟს, უცრის ყვავილს და ღებულობს ყოველ დღე საფერშლო საქმეს. (15—155—3)

### ცინკოგრაფია ქართ. გამომცემელ ამხანაგობისა

ამზადებს ცინკოგრაფიულ კლიშეებს. კლიშეებს ცინკოგრაფია ამზადებს სუფთად და დროზე. ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა. (3—ნ.—2)

ხუთშაბათს, 25 თებერვალს, ტფ. ბირჟის შენობაში გაიმართება **ლიტერატურულ მუსიკალური** და **საცეკვაო საღამო**

მონაწილეობას მიიღებენ ქართულისა და რუსულ დასების არტისტები: სტროგინისა, ვართანოვი, ივანიძე, კაევი, დავიდოვი, ჩარკი ლეგოშინი, მარკინა, ჯაბაური და ურუშაძე.

ა. ი. მალხაზიანი წაიკითხავს ლექციას ამ თემაზე

**„რომანტიზმი თანამედროვე ლიტერატურაში".**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(3—1) გამგე **ვ. ურუშაძე.**

### ● ამერიკული ჯიშის ●

### ვაზი

იყიდება ნაფარეულის (კახეთის) საუფლისწულო მამულში შემდეგი სორტისანი:

რუპესტრის-დიუ-ლო და მურვედრ რუპესტრის № 1202 ათასი ცალი არშინ-ნახევარიანი 10 მან.

რიპარია გლუარ დე მონპელიე და რიპარია გრანდ გლაბრ ათასი იმავე ზომისა 8 მან.

შეხვევა და გაგზავნის ფასი მყიდველების ხარჯზე. შეკვეთა შეიძლება ნაფარეულის საუფლისწულო მამულის კანტორაში. **ქ. თელავი** (3—ნ.—1)

◀ რედაქცია ჟურნალ ▶

### ფასკუნჯისა

სთხოვს ბ-ნთ აგენტებს გამოგზავნონ ხელის მოწერის ფული და ხელის მომწერთა სია. ჟურნალის პირველი № გამოვა მარტის შუა რიცხვში შემდეგის შინაარსით: ნაწარმოებნი **განდეგილისა, ეკ. გაბაშვილისა, კ. მაყაშვილისა, ა. შანშიაშვილისა, ტ. რაზიკაშვილისა, ა. სარაჯიშვილისა;** წერილები **ნ. მარრისა, კ. აბაშიძისა, გრ. რობაქიძისა, ე. თაყაიშვილისა, სიტყვასი და** სხვათა.

სურათები—ერთი ფერადი, ორი ფოტოტიპიური და 10 ცინკოგრაფიაში გაკეთებული.

ადრესი. Тифлисъ, типографія „Сорапань". (3—2)


## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**ბიუჯეტი.**

20 თებერვლის სხდომაზე სათათბირომ განაგრძო შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. ორატორები კვლავ სამინისტროს საზოგადო პოლიტიკას ეხებოდნენ. სხვათა შორის, პოლონელების, ებრაელების და მაჰმადიანების წარმომადგენლებმა აღნიშნეს მთავრობის მიერ ამ ეროვნებათა დევნა.

**ლვოვი 1-ლი.** წინად ყველას ეგონა, რომ მთავრობა 17 ოქტომბრის მანიფესტს განახორციელებს. მაგრამ ეხლა გამოირკვა, რომ ეს იმედი ამაო იყო. შეცდომებს ადგილობრივ მოხელეებს აბრალებდნენ, მაგრამ ესეც ტყუილი გამოდგა, რადგან ყოველგვარი უბედურება მთავრობის პოლიტიკის შედეგია. მთავრობამ ყველანი გადაიმტერა, ისინიც კი, ვინც წინად მისი მომხრენი იყო; მთავრობა ეცადა, სამღვდელოება მაინც მიემხრო, ამისთვის იგი პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაითრია, მაგრამ ამ ხერხმაც ვერ გასჭრა. ეხლა ისეთი დრო დაგვიდგა, რომ ხალხი სულიერად, ზნეობრივად და სარწმუნოებრივად ეცემა. ეროვნულ გრძნობის გაღვიძების ნაცვლად მთავრობამ ეროვნული შუღლი და სიძულვილი დასთესა. მთავრობა ძირს უთხრის საერობო და საქალაქო დაწესებულებებს, იწყება ჩუმი მოქალაქობრივი ბრძოლა, რაც სულ ერთიანად დაღუპავს რუსეთს.

**სვეცინსკი.** (პოლონელი). მთავრობას პოლონეთის შესახებ განსაკუთრებული გეგმა აქვს შემუშავებული. ამ გეგმით პოლონეთი უნდა განადგურდეს და ძირი გამოეთხაროს პოლონელ ხალხის კეთილდღეობასო. მთავრობა სდევნის პოლონურ საზოგადოების ყოველ გვარ ცდას ეროვნულ-კულტურულ საქმეში. ავტორმა გაიხსენა უკანასკნელი ცირკულიარი მინისტრისა. გუბერნატორებს ნება მიეცათ აღკრძალონ ახალი ეროვნულ-კულტურული საზოგადოებანი და დახურონ უკვე არსებული. მთავრობამ, სხვათა შორის, დახურა ლოდძელ ბავშვის კავშირი, რომელსაც დიდი კულტურული გავლენა ჰქონდა რამდენიმე ათი-ათასს მუშაზე. პროტესტის ნიშნად, პოლონელთა ფრაქცია ხმას არ მისცემს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვასო.

**მიავკი** უმთავრესად შეეხო პოლიციას, რომლის წყალობითაც მთავრობა ხალხს ახრჩობსო. მთავრობისაგან რეფორმებს ტყუილად მოველით: უნდა გვახსოვდეს, რომ მტკიცე საძირკველი რეფორმებისთვის მხოლოდ ის იქნება, რომელიც აიგება რუსის ხალხის სისხლითაო.

**ჩხეიძე.** მაკლაკოვმა სთქვა, მე მთავრობისა არაფერი მჯერაო. ვფიქრობ, რომ მას სამუდამოდ დაჰკარგოდეს მთავრობისადმი რწმენა. მანვე სთქვა, მთავრობამ იმიტომ გაიმარჯვა, რომ საზოგადოებამ მხარი დაუჭირაო. მართალი არ არის. მთავრობამ გაიმარჯვა ხიშტებისა და ტყვიის მტყორცნელთა წყალობით; საზოგადოება მაშინ სდუმდა. ტყუილად ემუდარება მაკლაკოვი იმ ფრაქციას, რომელიც სამი წელიწადი მთავრობის მონა-მორჩილი იყო. ხსნა ერთად-ერთია: მთავრობას ფული აღარ უნდა მივცეთ და უნდა მოვიწვიოთ ხალხი ბრძოლისათვის.

**ფრიდმანმა** (ებრაელი) ებრაელთა საკითხზე ილაპარაკა. ებრაელების დევნა მოწმობს, რომ რუსეთი ჯერ კიდევ შორს არის კონსტიტუციისაგან. ებრაელები პლევეს დროს თითქმის უფრო კარგ მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე ეხლა არიან. ოქტომბრისტებიც არაფერს აკეთებენ ებრაელთა საკითხის გადასაწყვეტად.

**გოლოლობოვი.** მთავრობას მოვალეობაა დაიცვას ხალხი და დაიცვა კიდეც რევოლიუციონურ ძარცვა-გლეჯისაგან. მართალი არ არის, ვითომ მთავრობა რეფორმების გზას არ დასდგომოდეს: მთავრობამ მოიწვია პირველი სათათბირო, მაგრამ მან მხარი არ დაუჭირა და ვიბორგის მოწოდებით გასცა პასუხი. მოიწვია მეორე სათათბირო, მაგრამ იგი ყაჩაღური გამოდგა. ამიტომ მესამე სათათბიროს მოწვევის დროს სიფრთხილით მოიქცა, იქნებ ცოტა გადააჭარბა, მაგრამ ამაში ვერ გავამტყუნებთ. მთავრობას უსაყვედურებენ, სდევნისო პროფესიონალურ კავშირებს, პრესსას და სხვას, მაგრამ ეხლანდელი პრესსა ხომ რევოლიუციონური გახდა. მთავრობამ უკვე შემოიტანა პროექტი სასამართლოს რეფორმის შესახებ და სხვა. მაკლაკოვს პასუხის-მგებელი სამინისტრო უნდა, მაგრამ ავიწყდება ძირითადი კანონები.

**მაკსუდოვი** მაჰმადიანების გაჭირვებას შეეხო. მთავრობამ შეადგინა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მაჰმადიანთა მოძრაობასთან საბრძოლველი ზომები. მთავრობა ებრძოლება მაჰმადიანებს, როგორც ნაციის, თუმცა სარწმუნოებაში ზოგიერთ თავისუფლებას აძლევს. ასე გაყოფა ერისა სარწმუნოებისაგან შეუძლებელია. მაჰმადიანები ყოველთვის ეცდებიან თავიანთ ეროვნების განვითარებას, დაცვას თავიანთ ეროვნებისა და სარწმუნოებისას.

**საზონოვმა,** როგორც მემარჯვენემ, შეაქო ეხლანდელ სამინისტროს მეთაური. მის ღვაწლს ისტორია აღნიშნავს, რადგან მან მძიმე ავადმყოფი განკურნაო. ოპოზიციის სიტყვები იმ ფრინველების საქციელსა ჰგავს, რომელნიც როსტანის თავის ახალ პიესაში „შანტკლერში" აქვს აწერილი: მამლები, რომელიც ქორებისაგან დასაცველად რკინის ბადე გაუკეთეს აღელდნენ—თავისუფლება წაგვართვესო.

**როდიჩევი.** საზონოვმა კარგი შედარება მოიყვანა: მამლები აღელდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მათი ბოლო სამზარეულო იყო. ჩვენი ხალხის საქმეც ასეა. მთავრობამ არ აასრულა არც თავისი და არც უმაღლესი დაპირებანი. გოლოლობოვმა სთქვა, მთავრობა სცდილობს აღორძინოს სასოფლო მეურნეობაო. მეურნეობა არ აღორძინდება იმ დრომდე, ვიდრე არ აღორძინდება თვითმმართველობა, ვიდრე გლეხის შრომა არ განთავისუფლდება აპეკისაგან. ვერაფერი სასახელოა რუსეთისთვის ეს გარემოება, რომ მთავრობა სდევნის უდიდეს მწერალს. ცენტრმა აქ მოსვლისას 17 ოქტომბრის მანიფესტის დროშა ააფრიალა, მაგრამ გავლენა დაჰკარგა და გაჩუმდა. მთავრობა მარკოვის მორჩილია, და ამ პოლიტიკას კი ცუსიმის გზაზე მივყავართ. ვაი იმ ქვეყანას, რომელიც ვერ მოახერხებს ამ გზიდან გადახვევას!

პოლიციის დეპარტამენტის **დირექტორმა** პასუხი გასცა იმ ორატორებს, რომელთაც სთქვეს, ადმინისტრატიულის წესით გადასახლება უფრო გაძლერდაო. 1909 წელს 1 თებერვლამდე გადასახლებულ იქნა სულ 17,120 კაცი, ხოლო 1910 წლის 1 თებერვლისთვის გადასახლებული ითვლებოდა მხოლოდ 12,200 კაციო. 1906 წელს, საგანგებო სათათბიროს დადგენილებით, გადასახლებულ იქნა 7777 კაცი, ხოლო 1909 წელს—1991 კაცი. ამას გარდა, მთავრობამ ბევრგან მოხსნა განსაკუთრებული წესებიო.

ილაპარაკეს კიდევ გოლიცინმა, ვიშნევსკიმ, ტიჩინინმა, ნოვიცკიმ, მოტოვილოვმა და გაიდაროვმა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

21—22 თებერვალი.

**საზღვარ-გარედ.**

**ბერლინი.** რეიხსტაგი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ზოგიერთი დეპუტატები შეეხნენ რუსეთის იმპერატორის გერმანიაში ჩამოსვლას. სოციალდემოკრატმა მოლკენბურმა სასტიკად გაჰკიცხა მთავრობა, რუსეთის იმპერატორს გერმანიის საზღვრებში რუსეთის პოლიცია იცავდა; ეს კი ყოვლად შეუწყნარებელი მოვლენაა. ამას გარდა მოლკენბურგის სიტყვით, როდესაც იმპერატორმა იმპერატორის ვილჰელმის არხი გაიარა, არხი შეჰკრეს და ბევრი გემი აღარ გაუშვეს. მოლკენბურგის აზრით ფული უნდა მიეცეთ იმ პირთ, რომელთაც ზარალი მოუვიდათ არხის დროებით შეკვრით. მოლკენბურს და სხვებს პასუხი გასცა სტატს-სეკრეტარმა დელბრიუკმა. მან, სხვათა შორის, სთქვა: ჩვენ მოვალენი ვართ ჩვენ საზღვრებში ყოველი ზომები მივიღოთ და დავიცვათ უცხო სახელმწიფოს მეფე ანარქისტებისაგან, რომელთაც საერთაშორისო ორგანიზაცია აქვთ. ჩვენ შეგვიძლიან უცხო სახელმწიფოს მეფის დაცვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ პოლიციას მხარს უჭერენ და შველიან ისეთი პირები, რომლებიც პირადად იცნობენ ანარქისტებს! ამისთანა შემთხვევებში ჩვენ გარედან არავის ბრძანებას არ გვაძლევს. მოვალენი ვართ დავიცვათ ჩვენი დიდი კულტურის სახელმწიფოს ღირსება.

**ტოკიო.** მთავრობამ დეპუტატთა პალატაში შეიტანა კანონ-პროექტი, რომლითაც უცხოელებს უფლე-

ზა ეძლევათ იაპონიაში გარდა სამხრეთ სარალინისა ხოკაიდოსი და ფორმოზასი შეიძინონ უძრავი ქონება.

**ბერლინი.** „ფოსიშე-ცაიტუნგს“ ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: რადგანაც უნივერსიტეტში არეულობა მოხდა, ამიტომ მთავრობამ რამდენიმე კვირით დაკეტა უნივერსიტეტის აუდიტორიებიო.

**სტამბოლი.** ბოლგარიის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს შეატყობინა, ტყუილია რუსეთის მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ პაპრიკოვი მტრულად უყურებდეს ოსმალეთს და ყველაფერი ეს გაზეთების თანამშრომლების ფანტაზიის ნაყოფიაო. მთავრობა დაკმაყოფილებულია ამ განცხადებით. აქ დამშვიდნენ მას შემდეგ, რაც ბოლგარიის მთავრობამ მიიღო ზომები, რომ საზღვარზედ აღარ გამეორებულიყო ოსმალეთ-ბოლგარიის მოსაზღვრე ჯარის შეტაკება.

სერბიის გარეშე საქმეთა მინისტრმა გადასცა პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს, ოსმალეთის მთავრობამ ძალიან კარგად მიმიღო და იმედი მაქვს, რომ ჩემს მიზნებს მივაღწევო. მინისტრსა სულთანი მიიღებს.

**ბელგრადი.** ტყუილია ის ხმა, ვითომ ბელგრადიდან ჩერნოგორელ ემიგრანტების გაძევება რუსეთის მთავრობის მოთხოვნით მომხდარიყოს. უცხო სახელმწიფოების გაზეთები ირწმუნებიან, როდესაც სერბიის მეფემ პეტერბურგში წასვლა მოინდომა, რუსეთმა მას პირობა დაუდო, სერბიიდან ჩერნოგორელი ემიგრანტები უნდა გააძეოო. არავითარი ამისთანა რუსეთს არ მოუთხოვნია. გაზეთები მეფის პეტერბურგში წასვლას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რუსეთის მეგობრობა სერბიის ხალხს იმედებს და ენერგიას უღვიძებსო.

**ბერლინი.** „ლოკალ-ანცეიგერი“ ეხება ბალკანეთის საქმეებს და სწერს: შესაძლებლად ვსთვლით, რომ რუსეთის პოლიტიკის მიზანია ბალკანეთზედ მშვიდობიანობა დაიცვას. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ზოგიერთებს დააფიქრებს სლავიანთა მეფეების პეტერბურგში ჩასვლა და შიშს აღუძრავს, რომ ბალკანეთზედ მშვიდობიანობა არ დაირღვესო. გაზეთი ალტაცებით ეგებება ბალკანეთის სლავიანთ მეფეების გადაწყვეტილებას სტამბოლში ჩასვლის შესახებ. ამ გარემოებას გაზეთი დიდ მნიშვნელობას აწერს, მშვიდობიანობის დაცვის ნიშანიაო. გაზეთის აზრით პეტერბურგშიაც დიდ მნიშვნელობას უნდა აწერდნენ ბალკანეთის სლავიანთა მეფეების სტამბოლში ჩასვლას.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. საზღვაო უწყების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს კანცლერმა განაცხადა, გერმანია თავის ფლოტს აძლიერებს და ამას მხოლოდ იმიტომ სჩადის, რომ დაიცვას თავის ვაჭრობა და საზღვრები; გერმანიის მშვიდობიანობის დაცვა სურს და მისი მიზანია გააძლიეროს და ააყვავოს გერმანიის ეკონომიური და კულტურული ძალები. ამიტომ გერმანია ყოველთვის იხელმძღვანელებს იმ პრინციპებით, რომლითაც ყველა პატიოსანი ვაჭარი ხელმძღვანელობსო.

გაზეთი „პოსტ“-ი ეხება სერბიის მეფის პეტერბურგში წასვლას და სწერს: სერბიის მმართველმა წრეებმა თავი არ უნდა მოატყუილონ და რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის პოლიტიკას ბალკანეთზედ ის არ უნდა მიაწერონ, რაც ნამდვილად არ არის. სერბიას არ შეუძლიან ავსტრო-ჰუნგრეთს არ დაუმეგობრდეს. სერბიას რუსეთისაგან რეალური სარგებლობა თავის დღეში არ უნახავს. მშვიდობიანობის დაცვა უფრო საჭიროა, ვიდრე ბალკანეთის ზოგიერთ მეფეების ოცნებები, რომლებსაც იგინი ოსმალეთთან ომით ვერ მოიპოვებენო.

**ვენა.** იმპერიის ფინანსთა მინისტრს ებრძანა შეიტანოს ბოსნიის სეიმში კანონ-პროექტი, რომლითაც ნებაყოფლობით უნდა გამოსყიდულ იქმნეს კმეტების (ხიზნების) მიერ იჯარით აღებული მიწები. მიწების გამოსყიდვის უფლება მხოლოდ მთავრობას ექნება.

**ბერლინი.** შეერთდა სამი ლიბერალური პარტია. პარტიები უფრო მემარცხენეებს უახლოვდებიან. შეერთებულ პარტიას უწოდეს პროგრესიულ სახალხო პარტია. შეერთებულ პარტიას 50 წევრი ჰყავს.

პოლიციის ნება-დაურთველად სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით ტრეპტოვის ბაღში სასეირნოდ შეიკრიბა 6,000 კაცზე მეტი. პოლიციამ ალყა შემოარტყა ბაღს და შიგ არავის უშვებდა. პოლიციას და ხალხს შეტაკება მოუვიდათ. დააპატიმრეს ბევრი დემონსტრანტი. ამასობაში ტირგანტენში სოციალ-დემოკრატებმა გამართეს კრება. კრებას დაესწრო 30,000 კაცი. კრებაზე აუშვეს წითელი ბაირაღები, იმღერეს მუშათა სიმღერები და წარმოსთქვეს ბევრი სიტყვა. აქაც ბევრნი დააპატიმრეს. ნაშუადღევის სამ საათზე ხალხი დაიშალა და ტირგარტენში ღია ავტომობილით მეფე-დედოფალმა გაიარა.

**ტარნოვსკაიას პროცესი.**

**ვენეცია.** პრილუკოვის დამცველმა პროტესტი განაცხადა, პრილუკოვმა 45 მოწმე გამოიწვია და სასამართლო მხოლოდ 7 კაცი დაუშვაო. ასეთივე პროტესტი განაცხადეს სხვა ბრალდებულების დამცველებმა, გარდა ტარნოვსკაიასი და ნაუმოვისა, ამ უკანასკნელების დამცველებმა საჭიროდ ვერა სცნეს ყველა მოწმეების გამოწვევა, საქმე გაჭიანურდებაო. პროკურორი ამავე აზრს დაადგა. შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს ნაუმოვს. ნაუმოვმა განაცხადა: გრაფი კომაროვსკი 1908 წელს გავიცანი. მას შევხვდი ქალაქ ორიოლში. კომაროვსკიმ გამაცნო ტარნოვსკაია, რომელმაც ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ცოტა ხნის შემდეგ ტარნოვსკაიას დაუახლოვდი და მის მონად გადავიქეცი. მალე კამაროვსკი საზღვარ-გარედ წავიდა. ერთ დღეს ტარნოვსკაიამ მაჩვენა კომაროვსკის დეპეშა. კომაროვსკი ტარნოვსკაიას სწერდა, უკვე ვიცი, რომ შენ და ნაუმოვს შორის რაც ხდებაო. ამასთან კომაროვსკი მე და ტარნოვსკაიას გვლანძღავდა. ტარნოვსკაია გაბრაზებული იყო და სამაგიეროს გადახდას თხოულობდა. მალე ტარნოვსკაიასთან ერთად კიევში წაველი. კიევში ტარნოვსკაიამ თავის დედის საფლავზედ წამიყვანა და მთხოვა მისი დედის მაგიერ სამაგიერო გადამეხადა კომაროვსკისთვის მე დავთანხმდი და უთხარი დუელში გამოვიწვევ მეთქი. ტარნოვსკაიამ მითხრა უსათუოდ უნდა მოჰკლა კომაროვსკიაო. შემდეგ მოსკოვში წაველი და ტარნოვსკაია მარიგებდა თუ როგორ უნდა მომეკლა კომაროვსკი. მე წინააღმდეგობას ვუწევდი ტარნოვსკაიას, არ მინდოდა მის გავლენას დავმორჩილებოდი, მაგრამ ვერ შევსძელი. მალე ვენეციაში წაველი და ჩასვლისთანავე კომაროვსკი სახლში დამიხდა. გამიღეს თუ არა კარები, მაშინვე რევოლვერი ვესროლე კომაროვსკის. „ჩემო კარგო რად ჩაიდინე ესაო“ და ამ სიტყვებთან ერთად კომაროვსკი იატაკზედ დაეცა. მე რევოლვერი დავირტყი, მაგრამ რევოლვერი არ გავარდა. ჩემზედ ისე იმოქმედა ამ სცენამ, რომ ტირილი მოვრთე და ყვირილი დავიწყე. ხალხი შეგროვდა და რო დამინახეს ვსტიროდი, ეგონათ, კომაროვსკიმ თავი მოიკლაო და ხელიც არ უხლიათ, ვისარგებლე ამით და ნავით გავიპარე. წაიკითხეს ნაუმოვის დეპეშები, რომლებიც მას ტარნოვსკაიასთვის გაუგზავნია. დეპეშებიდან სჩანს, რომ ნაუმოვს გაგიჟებით უყვარდა ტარნოვსკაია. გამოირკვა, რომ ტარნოვსკაიას რუსეთიდან ნაუმოვი ორჯერ დაუპარებია ვენაში. როდესაც სასამართლო ნაუმოვის და ტარნოვსკაიას ურთიერთობას შეეხო, ნაუმოვი ტიროდა.

**ვანკუვერი.** როჯერსის ხეობაში ზვავმა დაიტანა 50 მუშა. მუშები გზასა სწმენდნენ.

**ბერლინი.** „ლოკალ-ანცეიგერს“ რომიდან ატყობინებენ: მეფემ მიიღო საბერძნეთის მემკვიდრე. ხმა დადის, საბერძნეთის მემკვიდრე ათინაში წავიდაო. „ფოსიშე-ცაიტუნგის“ სიტყვით საბერძნეთის პოლიტიკური წრეები ძალიან დააფიქრა იმ გარემოებამ, რომ მემკვიდრე რომში ჩავიდა და იტალიის მეფე ინახულა. სამხედრო ლიგა თხოულობს, რომ სანამ არ გამოცხადდება მეფის ბრძანება ეროვნულ კრების მოწვევის შესახებ, მანამდის მემკვიდრე ათინაში ნუ დაბრუნდებაო.

### სპარსეთი

**თეირანი.** მეჯლისის თავმჯდომარემ შეატყობინა მეჯლისს, სპარსეთის სხვა და სხვა კუთხიდან პროტესტები მოდის საზღვარ-გარეთ სესხის აღების წინააღმდეგო. თავმჯდომარეს სიტყვით მეჯლისი არ განიხილავს სესხის საკითხს, რადგან მინისტრებს არ შეუტყობინებიათ მეჯლისისთვის, თუ რა პირობით იძლევიან რუსეთი და ინგლისი ფულს.

**პეტერბურგი.** „ოსვედომიტელნოე ბიურო“ იუწყება: სპარსეთის საელჩო პეტერბურგში გვთხოვს გამოვაქვეყნოთ, რომ ოფიციალური წყაროებით ტყუილია ის ხმა, ვითომ სპარსეთში საელჩოებს მუქარის წერილები მიეღოთ და ამის გამო რუსეთის ელჩს სპარსეთის მთავრობისთვის ნოტა გადაეცეს.

### ჰაერში ფრენა

**მურმელონ-ლა-გრანი.** თავის ჰაეროპლანით გაფრინდა ავიატორი ფარმანი. ფარმან თან წაიყვანა ორი მგზავრი ფარმანმა იფრინა 2 საათი 2 წუთი და 23 წამი.

### რუსეთი

**კიევი.** სამხედრო სასამართლომ გამომძიებლის ბრძანებით დააპატიმრეს საინტენდანტოს 28 მოხელე. ყველა ესენი სამართალში მისცა სენატორმა გარინმა. ბრალდებათ ქრთამების აღება.

**ასტრახანი.** ბოდაისსა, აზიგაჩილში და ჯანკაგაჩილში შავი ჭირით გარდაიცვალა 20 კაცი. სოფელ ნოვაია კაზანკაში შავი ჭირისაგან გარდაიცვალა 7, ავად არის 25 კაცი.

**ეკატერინოსლავი.** ბერდიანსკში დააპატიმრეს ბოროტ-განმზრახველები, რომლებმაც 12 თებერვალს მატარებელში მგზავრები გაცარცვეს.

**პეტერბურგი.** დიდის ამბით დაასაფლავეს განსვენებული კომისარჟევსკაია. განსვენებულის კუბო აუარებელი გვირგვინებით იყო შემკული, სიტყვები წარმოსთქვეს საიმპერატორო თეატრის ცნობილმა არტისტებმა, მათ შორის, დავიდოვმა, შემდეგ ილაპარაკეს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა გუჩკოვმა, მოროზოვმა, პოლკოვნიკმა, სტუდენტმა, კურსისტკამ და მუშამ. ლექსი წაიკითხა ლ. ბ. იავორსკაიამ. დასაფლავებას აუარებელი ხალხი დაესწრო.

## რედაქციას

([illegible])

ქუთაისის [illegible] ღრმად აღშფოთებული [illegible] რობის გიმნაზიის გერმანული ენის მასწავლებლის [illegible] თავხედურ საქციელით, ამ ვაჟბატონმა 17 თებერვალს, გერმანულ ენის გაკვეთილზე, შემდეგის სიტყვებით მიმართა მოწაფეებს, რომელნიც ფარულად უკარნახებდნენ თავის ამხანაგს: „თავი დაანებეთ **ქართულად, ამ პირუტყვების ენით** კარნახებასო“. („Перестаньте подсказывать по-грузински, на этомъ животномъ языкѣ“!)

ქართული ენა სასწავლებელში რომ აბუჩად არის აგდებული, ეს ყველამ კარგად ვიცით. ისიც ვიცით, თუ ზოგიერთი მასწავლებელი როგორ შეურაცხყოფს, ბლალავს ახალგაზდობის უფაქიზეს გრძნობებს მაგრამ ასეთ თავხედობამდის კი, მგონი, არც ერთი მასწავლებელი არ მისულა. ერთისა თუ ორი მოწაფის უბრალო დანაშაულისთვის უსტინოვიჩმა უტიფრად შეურაცხყო მთელი ქართველი ერი, რომელსაც **პირუტყვი** უწოდა! ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევდით უსტინოვიჩის პროვოკატორულ საქციელს, მაგრამ ამ კაცი ჭამიას ენით ლაღადებს არა ერთი აღვირწახსნილი უსტინოვიჩი; მას ზანს აძლევს და ზურგს უმაგრებს არა ერთი და ორი ღირსეული ამხანაგი.

როგორც გავიგეთ, მოწაფეებს გიმნაზიის დირექტორისათვის შეუჩივლიათ უსტინოვიჩის საქციელის გამო, თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის უთხოვნიათ, რომ ეს აღმაშფოთებელი ინციდენტი მოხსნდეს თავად-აზნაურთა საზოგადო კრებას. ისინი მოითხოვენ, რომ აღდგენილ იქმნას უსტინოვიჩის მიერ შებღალული მათი ეროვნული თავმოყვარეობა. უნდა ვილაგმონ უსტინოვიჩისებური ვაჟბატონები, რომელნიც მუდამ ღვარძლსა სთესენ ჩვენს ეროვნულ ნიადაგზე და გვიგინებენ ჩვენს წმიდათა-წმიდას.

**ისარა.**

## ქუთაისის ავ-კარგი

აირია მონასტერი. მრავალ-გვარ არჩევნების მოლოდინში ველარა-

# პროფესორი ნ. მარრი უვიცობის სამსჯავროს წინაშე

1909 წლის ბოლოს გამოვიდა ბ-ნ ჯანაშვილის თხზულება „ქართული მწერლობა“ (წიგნი მეორე. ტფილისი). გადავიკითხეთ და განცვიფრებაში მოვედით: ვერ გავიგეთ, თუ რად უწოდა ბ-ნმა ჯანაშვილმა თავის წიგნს „ქართული მწერლობა“! წიგნში LXIV+179 გვერდია: აქედან მხოლოდ 53 გვერდი შეიცავს მართლაც ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებს: ეს გახლავთ ბ-ნ ჯანაშვილის მიერ პირველად გამოქვეყნებული „...ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთ შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი“... ჩვენ არ ვუსაყვედურებთ ბ-ნ ჯ—ს, რომ „ცხოვრების“ ამისთანა გამოცემა, ვერ აკმაყოფილებს მეცნიერულ კრიტიკის დღევანდელ მოთხოვნილებას; მადლობის ღირსიცაა ტექსტის პირველად გამოქვეყნებისათვის: წიგნში რომ მარტო ეს 53 გვ. ყოფილიყო, არა თუ რამე დააკლდებოდა, პირიქით ბევრსაც მოიგებდა და ეს პატარა, მაგრამ საგულისხმო აღწერილობა არ ჩაინთქმებოდა იმ აუარებელ აბდა-უბდაში, რომელიც მას გარშემო ახვევია... წავიკითხეთ წიგნი და დავხურეთ. ფიქრადაც არ მოგვსვლია რაიმე პასუხი გაგვეცა ბ-ნ ჯანაშვილისათვის, თუმცა მას არაფერში არ ვეთანხმებოდით, მაგრამ თუ გავჩუმდით მხოლოდ იმიტომ, რომ ბ-ნ ჯ—ის შენიშვნები ფრიად უსაფუძვლოა და უბრუყვილო. მართალია, იმის „კრიტიკას“ ამას გარდა, ცუდი რამ სხვა სუნიც უდის, სუნი, რომლის მოსპობა თავიდანვე იყო საჭირო, მაგრამ ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ყურადღებას არავინ მიაქცევდა...

მწარედ მოვსტყუვდით. აღმოჩნდა ერთი კაცი, რომელიც ისეთი უხვი და მოწყალე შეიქმნა, რომ არა თუ თვითონ დასტკბა ამ ავი სუნით, თავისიც ბევრი დაუმატა და ასე შეზავებული აყნოსა როგორც თავის თანამემამულეთ, ისე უცხოელთაც... ჰაერი მოიწამლა. გაჩუმება შეუძლებელია, რასაკვირველია, არა იმისთვის, რომ პრ. მარრის ვითომდა „შებღალული“ პიროვნება აღვადგინოთ, „რეაბილიტაცია“ ვუყოთ: „მართლის მთქმელსა ყველა მტრობს, მაგრამ იგი არ წახდების“.

ჩვენ გვსურს მხოლოდ საზოგადოებამ საქმის ნამდვილი ვითარება გაიგოს და ზოგიერთების ყვირილი და მარრის დუმილი პირველთა გამარჯვებად და მეორის დამარცხებად არ მიიღოს. ყვირილი ადვილი გასაგონია, რადგან ხმა მაღლა გაისმის, მარრი კი ამ დროს დინჯად და ჩუმად საქმეს აკეთებს. მაგრამ ეს ყველამ როდი იცის. დღესაც ბევრი ვერ იცნობს ჩვენში პრ. მარრს; დღესაც „ჩვენ საზოგადოებაში ბევრი უცნაური ჭორია გავრცელებული ამ ნიჭიერ და დიდბუნებოვან მეცნიერზე“, როგორც ხუთი წლის წინად აღნიშნა ბ-ნმა ივ. ჯავახიშვილმა თავის წერილში („მამულიშვილობა და მეცნიერება“, ტფილისი 1904 წ.). სჩანს, ბ-ნ ჯავახიშვილის ეს სიტყვები ზოგთათვის დარჩენილა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“ და—დახეთ ბედის უკუღმართობას!—თვით ბ-ნი ჯავახიშვილი, ეს მეორე ნიჭიერი მკვლევარი, უნდათ გახადონ მსხვერპლად უცნაურის ჭორებისა...

ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ ჭორებს, უმეცრებას, ტყუილს მოკლე ფეხები ასხია და, ადრე იქმნება თუ გვიან, ჭეშმარიტი მეცნიერება გაიმარჯვებს. ამ იმედით აღჭურვილნი, ჩვენც შევუდგებით ბ-ნ ჯანაშვილის „მეცნიერული კრიტიკის“ განხილვას. რას წარმოადგენს ბ-ნ ჯ. „კრიტიკა“? ნუ გგონიათ, მკითხველნო, რომ ბ-ნი ჯანაშვილი პრ. მარრის გამოკვლევათა ღრმად დასაბუთებას რაიმე ყურადღებას აქცევდეს და ასეთსავე დასაბუთებულ თავის აზრს უპირისპირებდეს, რაიც მოეთხოვება ყოველ ჭეშმარიტ კრიტიკას და რაიც აუცილებელია მეცნიერების წინმსვლელობისათვის. ბ-ნი ჯანაშვილი სულ სხვა გვარი კრიტიკოსია, უკეთ რომა ვსთქვათ, ის ბრალმდებელია. ბრალდება მოკლეთ ასე გამოიხატება:

1. პრ. მარრი ფრიად მცოდნე ნიჭიერი მეცნიერია: ზედმიწევნით იცის სომეხთა და ქართველთა როგორც წარსული, ისე აწმყო;
2. მაგრამ პრ. მარრს სძულს ქართველები და უყვარს სომხები;
3. ამ გარემოებას პრ. მარრი იქამდის მიჰყავს, რომ იგი ღალატობს ჭეშმარიტ-მეცნიერულ გზას და „გონჯათ, დაფარული აზრით“ ერთს (ქართველებს) ამდაბლებს და მეორეს (სომხებს) ამაღლებს ან და „კიდევ უარესი“, ქართველებს ხანდახან თუ აქებს, მისთვის, რომ ამით სომხები უმეტესად შეაქოს (გვ. 56.)

სასტიკი და უსაშინელესი ბრალდებაა! ადამიანი, რომელიც მეცნიერულ კვლევა ძიების დროს ვინმესადმი სიყვარულ-სიძულვილით ხელმძღვანელობს და ამ გრძნობებზე ამყარებს თავის გამოკვლევას, ის მეცნიერი კი არა, უბრალო სინიდისის მოვაჭრეა... ვის დარჩება „მეცნიერის“ ასეთი სახელი, ამას ბ-ნ ჯანაშვილის ნაწარმოების განხილვა დაგვანახვებს.

ბ-ნი ჯანაშვილი პრ. მარრის ნაწერების „კრიტიკას“ იწყებს თავის წიგნის მეორე განყოფილებიდან (გვ. 54). პირველი სიტყვა, რომლის გასომხურება მაინც და მაინც მოუნდომებია ბ-ნ მარრს არის „ჰსკავილი“. მარრის აზრით ეს სიტყვა სომხურია (ამბობს ჯან.) და უდრის ქართველ „თავთავცოცხი“-ს. ჩემის აზრით კიო ეს სიტყვა უდრის ქართულს „სკა-ველი“-ს. შეიძლება, ეს ახსნა მართლაც იყოს, მაგრამ მართლად მოჰყავს თუ არა ბ-ნ ჯან—ს პრ. მარრის ახსნა და რაც ელემენტარული მოთხოვნილებაა, შეძლებას აძლევს თუ არა მკითხველს გაიცნოს ამ სიტყვის ახსნა თვით პრ. მარრის ნაწარმოების დედანში? ბ-ნი ჯან. არა თუ უჩვენებს ნაწარმოების რომელ ალაგზეა სადაო სიტყვა, თვით ნაწარმოებსაც სრულიად არ ასახელებს. აბა როგორ გაიგოს გარეშე მკითხველმა მოწინააღმდეგის აზრი სადაო სიტყვის შესახებ, როდესაც ჩვენც, რომელნიც ასე თუ ისე უფრო ახლო ვდგევართ საგანთან, ცოტა არ იყოს, გაგვიძნელდა გაგება, თუ საიდან არის ეს ცალკე სიტყვა ამოგლეჯილი? ეს სიტყვა ამოღებულია ბ-ნ ჯან—ს მარრის მიერ გამოცემულსა და გამოკვლეულს ტექსტიდან: „ღუაწლნი წმიდათა სამთა მარჩბივთა მოწამეთანი, სპეესიპსი, ელასიპსი და მელასიპსი“. ქართული დედანი ორთა ხელნაწერთაგან მეათე საუკუნისათა გამოიკვლია, გამოსცა და რუსულად სთარგმნა ნიკო მარრმან. (Отдѣльный оттиск изъ Зап. Вост. Отд. т. т. XVII. С. Петербургъ 1906 г.) ტექსტსა და მის რუსულ თარგმანს უჭირავს გვ. 327—344, დანარჩენი კი (გვ. 285—326) გამოკვლევას, რომლის მე-293 გვერდზე პრ. მარრს ახსნილი აქვს სადაო სიტყვ: „სიტყვა (ჰსკავილი) **შესაძლებელია** ნიშნავდეს „ცოცხი თავთავთაგან“, თუ*) ის შემდგარია (სომხურ) „ჰსკ“, resp. „ჰასკ“—თავთავი და „ავილ“—(არქაიული „აველ“*) „ცოცხი“. როგორც სჩანს, აქ მხოლოდ ზემო მოყვანილ სიტყვის სათუო ახსნაა და მეტი არაფერი! ნუ თუ ბ-ნ ჯან—ლის ამონაწერიდან მკითხველი გაიგებს პრ. მარრის მიერ ამ სიტყვის სათუო ახსნას?!

აგრეთვე სრულიად გაუგებარია და განსაცვიფრებელიც, როდესაც ბ-ნი ჯან—ლი ამბობს (გვ. 58), ვითომც პრ. მარრს თვით გაბრიელი, რომლის ზედ-მეტი სახელი „ჰსკავილი“ (გინდ ჰსკაველი!) იყო, გაესომხებინოს! საიდან დაასკვნა ეს ბ-ნმა ჯან—მა? პრ. მარრი არსად არ ამბობს, რომ გაბრიელი სომეხი იყოო. ასეთია ბ-ნ ჯან. კრიტიკა. ნუ თუ ამით მკითხველი გაიგებს, რას წარმოადგენს პრ. მარრის მთელი გამოკვლევა? სად გაგონილა, ამოგლიჯო მთელი გამოკვლევიდან ორი სიტყვა, რომლის ახსნა შენ არ მოგწონს და ისიც დამახინჯებულად მიაწოდო მკითხველს?

მეორე სიტყვა, რომლითაც „გვლუპავს“ პრ. მარრი, არის—„კუტალი“. (ibid). პრ. მარრს მოჰყავს ამ სიტყვის სამ-ნაირი ახსნა („ორბელიანის, ჩუბინაშვილისა), მხოლოდ თვითონ უმატებს შესაძლო ახსნას: ეს სიტყვა უნდა იყოს სომხური „გდალ“-ის დიალექტიური ფორმა და ისიც **მხოლოდ** ზემო ხსენებულ ტექსტშიო.

ამგვარადვე არჩევს ბ-ნი ჯანაშვილი პრ. მარრის მეორე შესანიშნავ გამოკვლევას: „Крещеніе армянъ, грузинъ, абхазовъ и алановъ святымъ Григоріемъ. („Арабская версія“). С.-петербургъ. 1905 г.

პრ. მარრმა 1902 წ., სინას მთაზე ყოფნის დროს, ნახა ხელნაწერი (არაბული ვერსია), სადაც მოთხრობილია ერთი იმ გადმოცემათაგანი, რომლებიც ასე ბლომად მოიპოვებიან საქართველოსა და სომხეთის გაქრისტიანების შესახებ. მაგრამ ეს გადმოცემები არ გვიხატავენ სავსებით სომეხ-ქართველთა პირველ-ყოფილ ეკკლესიის ჭეშმარიტ მდგომარეობას, რადგან მათში (გადმოცემებში) დროთა ვითარებისა გამო ბევრი ცვლილება მომხდარა და ჩვენამდის მოსული რედაქციები შემუშავებულია იმ დროს, როდესაც სომხეთისა და საქართველოს ეკკლესიებში განხეთქილება მოხდა და ორი სხვა და სხვა ეკკლესია დაარსდა. ამიტომაა, რომ სომხეთის განმანათლებლად ითვლება ერთად-ერთი წმ. გრიგოლი, ქართველებისა კი—ერთად-ერთი წმ. ნინო. მაგრამ ნამდვილად ასე იყო თავდა-პირველად? პრ. მარრი ამბობს: „თუ სომხეთში ყველა სხვა განმანათლებლის დიდება დაჩრდილა წმ. გრიგოლის პიროვნებამ და საქართველოში კი წმ. ნინოსმა, ჩვენ მაინც არ უნდა ავჩქარდეთ და დავასკვნათ, რომ მათ ქადაგებას მართლაც შესაფერი ფართო რეალურ-ისტორიული მნიშვნე-

*) ხაზი ჩვენია.

*) ბ-ნ ჯანა—ლს რომ გულდახმით წაეკითხა ეს ალაგი, მაშინ პრ. მარრს არ დააბრალებდა: „ჰსკავილს კი მოუგონებია მარრისთვის სომხური „ჰსაკ“—თავთავი, „ვილ“—ცოცხი“. სომხურად ორივე ფორმა იხმარება, როგორც „ვილ“, ისე „ველ“.

ფერს გაიგებ კაცისას. რამდენი კაცია, იმდენი კანდიდატია სხვა და სხვა ადგილზე დასახელებული. წარმოიდგინეთ, ისიც კი არავინ იცის ნამდვილად ჯერ, განთავისუფლდება თუ არა საადგილ-მამულო ბანკის კამგეობის თავმჯდომარის ადგილი, ხოლო კანდიდატი ხუთია დასახელებული. ჩვენის ფუქსავატობისა და არა საზოგადოებრივ მიდრეკილების მაჩვენებელი ისიც არის, სხვათა შორის, რომ კანდიდატად დასახელებულია კალ. ჩიკვაიძე, ის ჩიკვაიძე, რომელსაც კარგად იცნობს საზოგადოება მის წარსულ სასიქადულო მოღვაწეობით.

მაგრამ დავანებოთ ამას თავი და მოვიქცეთ ამ წერილის პირდაპირ მიზნისაკენ. სალაპარაკო საგანი ჩვენს ქალაქში თავად-აზნაურთა კრებაა, რომელიც 20 ამ თვეს დაიწყო. სხვა დროს ამ კრებებს დიდი მზადება და მითქმა-მოთქმა უძღოდა ხოლმე წინ. სამარშლო კანდიდატების სახელები გამორკვეული იყო და ამის მიხედვით კრებაც დაყოფილი იყო ჯგუფ-ჯგუფად. ეხლა ყველა სდუმს, ვერავისაგან ვერ გაიგებთ, ვის რა განზრახვა აქვს, არც ის არის გამორკვეული, გარდა ეხლანდელ მარშლისა თავ. ს. წერეთლისა, აპირებს თუ არა ვინმე ყუთის დადგმას. კერძოდ ლაპარაკში ბევრს ახირებულსა და შეუწყნარებელს გაიგონებთ ამა თუ იმ კაცის მოღვაწეობაზე, მაგრამ, როგორცა ვთქვი, ეს ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმაა და მეტი არაფერი, ხოლო საქმე კვლავ გამოურკვეველი რჩება.

გამოცდილ კაცებს თუ დავუჯერებთ, ეხლანდელი მშვიდობიანობა, დიდი ალიაქოთის მომასწავებელია და რასაც არ ელი—სწორედ ის მოხდება. კერძო ლაპარაკში-კი ის ირკვევა, რომ მეტოქედ ეხლანდელ მარშლისა არავინ გამოვა და თუ მან უმრავლესობა არ მიიღო, იმ შემთხვევაში გამოჩნდება ისეთი კანდიდატი, რომელსაც საქმე ისე აქვს მოგვარებული, რომ მისი არჩევა ეჭვს გარეშეა. ასეთი კომბინაცია რომ გადმოვაქართულოთ, აი რას მივიღებთ: პირდაპირ თავ. ს. წერეთლის მეტოქედ არავინ გამოვა, ხოლო თუ რამეს გააწყობენ იმის გასაშავებლად, შრომას არ დაზოგავენ.

ეს არჩევნები.

სხვა საქმეებზე რა მოგახსენოთ: საქმიანობის უნარი ჩვენს მაღალწოდებას თავის დღეში არ გამოუჩენია და ეხლანდელ მდგომარეობას რომ ვუკვირდები, ისეთი არეულ-დარეული, როგორიც არის ეხლა თავ.-აზნაურობის საქმეები, თავის დღეში არ ყოფილა. ავიღოთ, თუ გნებავთ, ფული, რომელსაც, როგორც ვიცით, ანგარიში უყვარს. დიდ-ძალმა ფულმა განვლო წარსულ ოთხი წლის განმავლობაში თავად აზნაურთა ხელში, და დღესაც არავინ იცის წარუდგება თუ არა კრებას ამ ფულის ანგარიში და თუ წარუდგება—წინდაწინვე იქნება განხილული ვისგანმე თუ მშრალის ციფრებით გაუმასპინძლდებიან კრებას. რამდენსამე დეპუტატს უთხოვნია კიდეც, რომ ანგარიშს წინდაწინვე განხილვა უნდაო, ხოლო რა პასუხი გასცეს ამ თხოვნას ჯერ-ჯერობით არ ვიცით. არ ვიცით აგრეთვე, რამდენად საფუძვლიანია ის ხმები, ვითომ საზოგადო საჭიროებისთვის გადადებულ ფულის დიდი ნაწილი მოხმარდა დეპუტატთა საკრებულოს წინააღმდეგ თავად-აზნაურთა კრების გადაწყვეტილობისა, რომლითაც დეპუტატთა საკრებულოს უნდა მისცემოდა სესხად 8000 მანეთი. გამოურკვეველია ის გარემოებაც, თუ რა მიზეზით ერიდებოდა თავად-აზნაურთა მდივანი ბ-ნი დ. მდივანი ფულის საქმეს და იმის გარეშე რად სწარმოებდა ფინანსიური საქმეები. ერთის სიტყვით, გამოსარკვევი ბევრია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ 20 თებერვალს დაწყებული კრება ნათელს მოჰფენს ჯანყითა და ბურუსით მოცულ საქმეებს—აქ დასახელებულს და იმათაც, რომელიც არ აღვნიშნავს.

დასასრულ, არ შემიძლიან არ ვაცნობო მკითხველს, რომ ყოფილ ქუთაისის გუბერნატორს აწ გარდაცვალებულ შალიკოვს უანდერძებია ქუთაისის თავად-აზნაურობისათვის 14,000 მანეთი. ამ ფულს, რასაკვირველია, თავის დანიშნულობას მისცემენ, მაგრამ ურიგო არ იქნება, რომ იგი მოხმარდეს ქართულ გიმნაზიის შესაფერად მოწყობას თავის ახალ შენობაში—ე. ი. ფიზიკურ კაბინეტის, ბიბლიოთეკის და სხვ. საუკეთესოდ მოწყობას.

**ნატალიაშვილი.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**ტფ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოება.** კვირას „ნოვ. რეჩ"-ში დაბეჭდილია ბ-ნ ბ. მირიმანოვის ღია წერილი ტფ. საურთიერთო კრედიტის პირველ საზოგადოების გამგეობის მიმართ. ბ-ნი მირიმანოვი მოითხოვს, რომ დაუყონებლივ დათხოვნილ იქნას ამ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ადელხანოვი, რომელსაც მირიმანოვის სიტყვით, თავისთვის და თავის ნაცნობებისთვის გაუტანია რამდენიმე ასი-ათასი მანეთი, დაბრუნების იმედი კი არ არის თურმე. მირიმანოვს რამდენიმე განცხადება შეუტანია, მაგრამ გამგეობას არც ერთხელ კრებისთვის არ წარუდგენია ეს განცხადებანი.

**წრის კრება.** სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში ი. ზურაბიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ზუბალაშვილის სახალხო სახლში სახალხო წარმოდგენების მართველ წრისა. კრებას ბევრი ხალხი დაესწრო, კრებამ პირველად განიხილა ანგარიში გამგეობის მოქმედებისა და დაამტკიცა იგი. გამგეობის წევრებად წრემ აირჩია: ბარ. მალალაშვილი, გ. მ. ლასხიშვილი, ლ. ვახვახიშვილი, თავდიშვილი, ქიაბერიშვილი, დ. დუმბაძე, კალანდაძე, ტოროშელიძე და რცხილაძე. კანდიდატებად: ნ. ზ. ელიავა, ძნელაძე და სურმავა. გამგეობაში ორი წევრი სცენის მოყვარეთაგან იქნება არჩეული.

**ჟურნალისტთა კრება** კვირას, 21 თებერვალს, ტფ. ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდა საზოგადო კრება ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოებისა. თუმცა კრების მიერ განსაკუთრებულ კომისიას დავალებული ჰქონდა ორი კვირის განმავლობაში დაესრულებინა გამოძიება მირზოევ ნაგურსკი-ყიფიანის საქმის შესახებ, მაგრამ კომისიას დავალების შესრულება ვერ მოუსწრია და ამის გამო ამ დღის კრება შეუდგა წასულ წლის ანგარიშის განხილვას და გამგეობის სამის წევრის არჩევანს. კრებამ მიიღო ანგარიში. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, გამგეობის მოქმედება უფერული და უშინაარსო ყოფილა. თითქმის არაფერი არ გაუკეთებია, რაიცა ათი თუმანი შემოსავალი ჰქონია და ისიც წვრილმან საქმეებზე დაუხარჯავს, გამგეობას ბევრი რამ დაუდგენია, მაგრამ ერთიც არ განუხორციელებია, გამგეობას ერთი ლიტერატურული სალამოც არ გაუმართავს, რომ ცოტაოდენი შემოსავალი მაინც ჰქონოდა. ასეთივე ყოფილა სარევიზიო კომისიაც. სარევიზიო კომისიის ზოგიერთმა წევრმა საზოგადო კრების გახსნამდე არც კი იცოდა, წევრად იყო ამორჩეული თუ არა, გამგეობის ანგარიშის რევიზია სხდომის დროს მოახდინა სარევიზიო კომისიამ. ან კი რა იყო რევიზიის მოსახდენი: სულ რამდენიმე მანეთის ხარჯი საბუთებთან უნდა შეემოწმებინა. კრების დასასრულ არჩეულ იქმნა გამგეობის სამი წევრი: პ. პ. გელეიშვილი, ფრაჩენსკი და ვარდანიანი. გამგეობის წევრთა კანდიდატად არჩეულ იქმნა ბ-ნი სტავროვსკი. სარევიზიო კომისიის წევრებად ძველები დარჩნენ.

**კომისია.** სასინოდო კანტორის ამ წლის 4 თებერვლის დადგენილების თანახმად შემდგარა ქართულ საღმრთო წერილის წიგნების შესწორებისა და გამოცემის კომისია, სადაც, სხვათა შორის, წევრებად მიწვეულნი არიან: კორნ. კეკელიძე და იუსტინე აბულაძე. კომისია გუშინ 22 თებერვალს შეუდგა მუშაობას.

**რევიზია.** „კასპი"-ს სიტყვით, ამ მოკლე ხანში რევიზიას გაუკეთებენ ტფილისის ქალაქის და ახალციხის, ახალქალაქის და გორის სამაზრო სამხედრო საკრებულოებს.

**სალიანი და გეოკჩაი.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ნამესტნიკს აღუძრავს საკითხი, რომ სალიანი და გეოკჩაი ქალაქებად გადაკეთდნენ და მარტივი თვითმართველობა მიეცეთ.

**მიწის-ძვრა.** შაბათს, 20 თებერვალს, შემახაში მიწა იძრა. მიწის-ძვრა რამდენიმე წამს გაგრძელდა თურმე.

ტფ. სომეხთა ინტელიგენციამ დაარსა სომხურ წიგნების გამომცემელი საზოგადოება. საზოგადოებამ უნდა გამოსცეს ხალხში გასავრცელებლად შინაარსიანი წიგნები და საზოგადოდ ხელი შეუწყოს სომეხ ერის კულტურულ ზრდას. პირველი დამფუძნებელი კრება მოხდა 21 თებერვალს. სულ წევრად 200 კაცამდეა ჩაწერილი. საწევრო ფული 3 მან. დაწესებული. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ გ. ი. ხატისოვი, სტ. ლისიციანი. ს. ბალაგიანი, ექიმი ზარგარიანცი, ნიფ. ვექილი გევორქიანცი, მნაც. ხუნუნიანცი, მ. თათევოსიანცი, ს. შიხიანცი და ექ. მაგაკიანი. ამავე კრებაზე აირჩიეს სარედაქციო კომისიის წევრებად: სტ. მალხასიანცი, ტიგ. ოღანეზიანცი, ლაზარე აღაიანი, ნერ. აბელიანი, არტ. მხიტარიანი, ტიგ. მიუზალიანცი და ქაჯბერუნი.

ადმინისტრაციის განკარგულებით მე-9 ნაწილის ბოქაული ბაჩუხინი გადაყვანილ იქმნა მე-12 ნაწილის ბოქაულის თანამ. აღმასრულებლად, მე-9 ნაწილის ბოქაულად გადმოყვანილ იქმნა მე-8 ნაწილის ბოქაული ლევაშოვი, ხოლო მე-8 ნაწილის ბოქაულად—მე-12 ნაწილის ბოქაული ვოლგინი.

ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ტფ. საბჭოს ხმოსნად ნამყოფს ლ. მამულაიშვილს ნება მიეცა დაბრუნდეს ტფილისში. მამულაშვილი გასახლებული იყო საგენერალ-გუბერნატოროდან.

# მოწერილი ამბავი

**ხონი.** ქ.-შ. წერა-კითხვის საზოგადოების ხონის განყოფილებამ შემდეგი მონაწილეობა მიიღო „ჯეჯილი"-სა და მისი შთამაგის ქ-ნ ა. მ. წერეთლის დღესასწაულში: 14 თებერვალს ხონის საკრებულო ტაძარში ადგილობრივ სასწავლებლის მასწავლებელთა, მოწაფეთა და მრავალთა მლოცველთა თანადასწრებით გადავიხადეთ სამადლობელო პარაკლისი და ვუსურვეთ „ჯეჯილსა" და მის რედაქტორს ქ-ნ ანასტასიას ბეჯითი და დაუღალავი მოქმედება ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ მრავალ ჟამიერ. პარაკლისის დაწყებამდის ხონის განყოფილების თავმჯდომარემ ა. ბ. ჭიჭინაძემ, შიგ ტაძარში, წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა და მსმენელთ გააცნო დღის მნიშვნელობა და დაასაბუთა „ჯეჯილისა" და მისი რედაქტორის მოღვაწეობა ამ ოცი წლის განმავლობაში.

იმავე დღეს დილით განყოფილების გამგეობამ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა „ჯეჯილის" რედაქციას და იმის რედაქტორს. გამგეობამ გადასწყვიტა ყოველ წლივ ორ-ორი ცალი „ჯეჯილი" გამოიწეროს და დაურიგოს ღარიბ სკოლებს.

იმავე დღეს ადგილობრივ ვაჟთა პროგიმნაზიაში და სამასწავლებლო სემინარიასთან არსებულ პირველ დაწყებით სასწავლებელში გაიმართა სალიტერატურო დილა: მასწავლებლებმა გააცნეს მოწაფეებს ანასტასია წერეთლის მოღვაწეობა, ხოლო მოწაფეებმა იმღერეს რამდენიმე სიმღერა და წაიკითხეს „ჯეჯილი"-დან ამოკრეფილი საუკეთესო ლექსები. დანარჩენი სასწავლებლებიც აპირებენ დღესასწაულის გამართვას, შუამდგომლობა უკვე აძრეს.

**გ. ბურჭულაძე.**

**კახეთი.** მთელი კახეთი სოფლის მეურნეობის ბუდეა. მევენახეობის გარდა, რომელსაც მისდევენ კახელნი, კიდევ ბევრ სხვა დარგს უნდა ჰქონდეს ადგილი, რომ მისი ცოდნა შესწავლოთ მცხოვრებთ, მაგრამ კახელებს ცხოვრების ერთად-ერთი წყარო ვენახიც ვერ დაუყენებიათ ისე, როგორც წესია. ფილოქსერა დიდი ხანია გვემუქრება, მაგრამ ჩვენ სულაც არ ვემზადებით იმის დასახვედრად. იშვიათი მემამულეა, ვენახი ამერიკულ ვაზზე ჰქონდეს ნამყობი. უეჭველია ამისი მიზეზი, როგორცა ვთქვი, ჩვენი უცოდინარობა გახლავთ. არც ერთი სამეურნეო სასწავლებელი არ მოიპოვება მთელ კახეთში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ს. ყვარელში არსებულ სატყეო სკოლას სამეურნეო განყოფილებით, მაგრამ ამ სკოლას სულ სხვა დანიშნულება აქვს. იქ იზრდებიან თავად-აზნაურთა და დაბალ მოხელეთა შვილები. თვითონ მეურნეობაც ისეა დაყენებული, რომ [illegible] ბიც რომ იყვნენ [illegible] ტა იქნება. [illegible] არსებობდა კიდევ წყლის სამ. სკოლაში. ამასაც სარგებლობა არ მოუტანია და გაუქმდა.

ამნაირად, მთელ კახეთში სპეციალური სამეურნეო სასწავლებელი არ არის და არც სამინისტრო და საერობო სკოლებთან არსებობენ სამეურნეო განყოფილებანი. რასაკვირველია; სულ არარაობას სამეურნეო განყოფილება სჯობია, მაგრამ უკეთესია სპეციალური სასწავლებელი, თუნდ პირველ დაწყებითი.

სწორედ ასეთი შემთხვევა ეძლევა კახეთის ქვემო მხარეს. სოფ. ურიათუბნის საზოგადოებას სამოსწავლო უწყებისაგან წინადადება მიეცა, გადაკეთდეს არსებული სოფლის სკოლა ორკლასიან სასწავლებლად, თუ სოფელი შენობის აგებაში დაეხმარება. სოფელმა უარი კი არ უნდა გამოუცხადოს, როგორც აპირებენ თურმე, არამედ უნდა მოიფიქროს კარგად, მოსაზღვრე სოფლებთან ერთად მოილაპარაკოს და ითხოვოს სამეურნეო სასწავლებელი უკიდურეს შემთხვევაში განყოფილება მაინც. ურიათუბანში გვერდზე მდებარე სოფლები რომ შეიერთო ამ საქმეში—1000 კომლზე მეტი გამოვა. ამათ არაფერი გაუჭირდებათ, არც შენობების გაკეთება, არც მისი მოწყობა და არც ყოველწლიური მცირე რითიმე დახმარება, მაგ. შეშით, ნავთით და კატით. ამ პირობებში, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამოსწავლო უწყება დასთანხმდება ამ რაიონში გახსნას სამეურნეო სასწავლებელი. ამ საქმის მოგვარება ძნელი არ არის, მხოლოდ საჭიროა მოთავეობა, სოფლელთა ჩაგონება, ახსნა-განმარტება, რაიც უნდა თავს იდვან ქვემო მხრის სოფლის მასწავლებლებმა და მღვდლებმა.

ეული.

# ტფ. დედათა საეპარქიო სასწავლებელში

21 თებერვალს ტფ. დედათა საეპარქიო სასწავლებელში გაიხსნა „ღარიბ მოწაფე-ქალთა დამხმარე ძმობა". „ძმობის" გახსნას დაესწრო საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი, ნამესტნიკის მეუღლე გრაფინია ე. ა. ვორონცოვა-დაშკოვა, სენატორი ვატაცი, რამდენიმე სხვა წარმომადგენელი ადგილობრივ სამხედრო სამოქალაქო უწყებისა და სხვანი. სამადლობელ პარაკლისის გადახდის შემდეგ, სასწავლებლის ინსპექტორმა დეკ. კ. კეკელიძემ დამსწრე საზოგადოებას წაუკითხა ცოცხლად შედგენილი სასწავლებლის მოკლე ისტორიული მიმოხილვა და მოხსენება იმის აწინდელ მდგომარეობა-დანიშნულებაზე. მოხსენების დედა აზრი ის იყო, რომ დედათა საეპარქიო სასწავლებელი არ არის ისეთი ვიწრო წოდებრივი სასწავლებელი, როგორც მიჩნეული ჰყავს ის საზოგადოებას. თავის პროგრამითაც ეს სასწავლებელი არა თუ არ ჩამოუვარდება სხვა ქალთა ინსტიტუტ გიმნაზიებს, პირიქით ზოგიერთ მეტ საგნების საფუძვლიან სწავლებით, ის მაღლაცა სდგას მათზე. აგრეთვე თავის პირდაპირ დანიშნულების ასრულების მხრივაც—მივარდნილ სოფლებში სწავლა-განათლებისა და წერა-კითხვის გავრცელებაში,—ამ სასწავლებელს უპირატესობაც აქვს. არც ერთი ინსტიტუტ-გიმნაზია დასრულებული ქალი არ ისურვებს იმსახუროს იმ გადაკარგულ-მიყრუებულ სახალხო სკოლებში, სადაც აღნიშნულ სასწავლებელში სწავლა-დასრულებულნი იღვწიან. ხშირად ნივთიერად და სხვა მხრივადაც აუტანელ პირობებში...

ნივთიერ ხელმოკლეობას და შევიწროებას ამ სასწავლებლის მოწაფენი განიცდიან თვით სწავლის დროსაც. აქ სწავლობენ სოფლის ღარიბ მღვდელ-მედავითნეების ქალები და სხვა დატაკ-„რაზნოჩინცთა" ასულები, რომელთაც, მიუხედავად ნივთიერ ხელ-მოკლეობისა, ჰსურთ უსწავლელნი არ დასტოვონ თავიანთი ქალებიც. საეპარქიო სასწავლებელი ასეთ ღარიბთათვის შედარებით ხელ-მისაწვდომია. რომ შეუმსუბუქდეს ასეთ მშობლების ტვირთი ქალების სწავლის მიცემა, საჭიროა მათ ხელი გა-

---

ლობა ჰქონდა" (გვ. 149). იმათი პოპულიარობა შეიძლება აიხსნას მწიგნობრიულის გზით. უნდა ვიფიქროთ, იყო ლიტერატურული მიმართულება, რომელმაც ერთის რომელისამე კუთხის გადმოცემა ქრისტიანობის გავრცელების შესახებ განავითარა და ამ კუთხიდან მთელს ეროვნულ ორგანიზმზე (საქართველოზე ან. სომხეთზე), გადაიტანა. ამის შემდეგ კი ამ ოლქობრივ თქმულებას სრულიად სომხური ან სრულიად ქართული მნიშვნელობა ეძლეოდა და ამის მიხედვით ხსნიდნენ სომხეთისა და საქართველოს პირველ-ყოფილ ეკლესიის მდგომარეობას. ამით აიხსნება მხოლოდ, რომ ჩვენამდე მოსულ ლიტერატურულ ნაშთებს ნაციონალურ-ტენდენციოზური ელფერი სდევს. განსაკუთრებით ასეთი ნაციონალისტური მიდრეკილება ემჩნევათ სომხებს, რომელნიც როგორც თავიანთ ეკლესიას, ისე ძველ ლიტერატურასაც, დღიდან მათ აღორძინებისა, ნაციონალურადა და დამოუკიდებლად აღიარებენ. პრ. მარრის აზრით ასეთი შეხედულება a priori მეცნიერულ კრიტიკის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

ქვევით პროფესორს დაწვრილებით განხილული აქვს, თუ აგათანგელის ისტორიამ (ქრისტიანობის დამკვიდრება სომხეთში) თავის განვითარებაში რამდენი საფეხური განვლო და როგორ თან და თან მიიღო ზევით დახატული ნაციონალური ელფერი. ამიტომ, თუ გვინდა ნათლად წარმოვიდგინოთ პირველყოფილ ეკლესიის ჭეშმარიტი სახე, საჭიროა მოვსძებნოთ ისეთ დროს აღორძინებული ნაშთი, რომელიც არ წარმოადგენდეს შემდეგ დროინდელ შეკეთებულ რედაქციას.

და არაბული ვერსია თუმცა არ წარმოადგენს გადმოცემის უძველეს რედაქციას, მაგრამ სხვა რედაქციებთან შედარებით **რამდენადმე** მაინც დაუცავს ძველი სახე. აი, ორი სიტყვით მისი ისტორია:

ის დაწერილია ტაო-კლარჯეთში ქალკედონელ (მართლმადიდებელ) სომხის მიერ დაახლოვებით მერვე საუკუნის პირველ ნახევრამდე. რა მიზანი ჰქონდა ავტორს? ორგვარი ერთის მხრით, აღედგინა ქართველთა და სომეხთა შორის არსებული ძმური სარწმუნოებრივი ერთობა, რომელიც დაირღვა ეკლესიების გაყოფის შემდეგ. მეორეს მხრით, მას, როგორც გრეკოფილს, თავის თხზულებაში უნდა გაეტარებინა საბერძნეთის ეკლესიის ტრადიციები, წინააღმდეგ სირიულისა, რომელსაც ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანაში როგორც სომხეთში, ისე საქართველოში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა*) სომხურიდან ეს ნაშთი გადითარგმნა ბერძნულად; ხოლო ბერძნულიდან—არაბულად. ერთი ამისთანა ხელნაწერი იპოვნა პრ. მარრმა და გამოსცა. სომხურ ენაზე დღეს ეს ნაშთი არ მოიპოვება; არის მხოლოდ მისი შეკეთებული რედაქცია ნაციონალისტურ თვალსაზრისითი ცნობილი ისტორია აღათანგელისა. (მე-8 საუკ.) ბ-ნ ჯანაშვილს კი ჰგონია, რომ არაბული ვერსია ამ „ნაციონალისტურ აღათანგელიდან" არის თარგმნილი: „თვით ეს არაბული ვერსია" არის თარგმანი აღათანგელისა (8-ს. მარრით) და ეკუთვნის (მარრის სიტყვითვე) მე-10 საუკუნეს. (გვ. 59). ბ-ნ ჯანაშვილს ან დაწერილი ვერ გაუგია ან განგებ დაუმახინჯებია ფაქტები.

ორი სიტყვით არაბულ ვერსიის შინაარსი:

როდესაც სომხეთის მეფემ თირდატმა განიძრახა ქრისტიანობის მიღება, უბრძანა ქვეშევრდომთ, მოსულიყვნენ ქ. ვაღარსაპატს (ახლა სოფელია ეჩმიაძინის მახლობლად). და აგრეთვე გაუგზავნეს წერილები აფხაზეთის, ქართველების და ალანების მეფეთ: თირდატი იწვევდა მათ თავისთან. მეფენი მოვიდნენ. წმ. გრიგოლმა დაიწყო ქადაგება და მოითხოვა მათგან დაემხოთ კერპები და დაექციათ ბოგონები. თირდატმა აღასრულა წმ. გრიგოლის ბრძანება (თავის ქვეყანაში) ასევე მოიქცნენ სხვა ქვეყნებშიაც. შემდეგ წმ. გრიგოლი გაგზავნეს ქ. კესარიას, სადაც იგი აკურთხეს მიტროპოლიტად. დაბრუნებისას წმ. გრიგოლმა შეიარა ქ. სევასტიაში და ბოლოს წამოიყვანა იქიდან მღვდლები და ბერები... წმ. გრიგოლმა წაიყვანა მეფე თირდატი, აგრეთვე მეფე აფხაზთა, მეფე ქართველთა, მეფე ალანთა, ყველა თავადი და სხვანი მდ. ეფრატზე... მონათლა... წმ. გრიგოლმა მოამზადა ეპისკოპოსნი და ჰგზავნიდა მათ მთელ სომხეთის ქვეყანაში, საქართველოშიაც „დ-რ-ზ-კ-თ"-ის ქვეყანაშიაც და ალანეთთანაც: ქ. სებასტიიდან მოსულთაგან აიყვანა ერთი ქართველი, სახელად იბირ-ბ-ხ-ხუა, აკურთხა იგი მიტროპოლიტად და გაგზავნა, „чтобы онъ ставилъ епископовъ надъ всей Грузiей". იბირბხხუა ქ. სებასტიაში ორმოც სებასტიელ მოწამეთა ნაშთების აღმოჩენას დაესწრო. აფხაზთა ქვეყანაში გაიგზავნა კაპადუკიელი მღვდელი სოფრონი, ხოლო ალანებთან—თომა.

შენიშვნა: ამ ვერსიაში სომხებს გარდა ნახსენებია სამი ხალხი: ქართველები, აფხაზები და ალანები—დასახელებულნი არიან რამდენსამე ადგილას ყველანი ერთად; მაგრამ იმ დროს, როდესაც ქართველები და ალანები მუდამ უცვლელად რჩებიან, მესამე ხალხის ადგილი ხან აფხაზებს, ხან ლაზებს, როსებს, დრ-ზ-კ-ი-თ ებს უჭირავთ. ცხადია, ეს მესამე სახელიც ერთი ეროვნების გამომხატველი უნდა იყოს და არა სხვადასხვისა. მართლაც, ლაზების გამოჩენა აფხაზების მაგიერ, ადვილი ასახსნელია, რადგან ლაზებსა და აფხაზებს ხშირად ვერ არჩევდნენ ერთმანეთში ძველად (у Захарiи Ритора, какъ отмѣтилъ Гельцеръ и за нимъ Маркворть). რაც შეეხება „დ-ზ-რ-კ-ი-თ"-ს აქ ასო „დ" პრ. მარრს წინა სიტყვის უკანასკნელ ასოს „დ" გამეორებათ მიაჩნია, რაც ხშირი მოვლენაა არაბულ ტექსტში. ამ შესწორებას თუ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ დარჩება „რზკით", არაბული „რ" „ლ"-ის მაგიერ (ეს ასოებიც ხშირად ირევა ერთმანეთში), მაშინ მივიღებთ „ლ-ზ-კ-თ-ი"-ს, ან და თუ ხმოვანთ ჩავუმატებთ — „ლაზიკეთი". სიტყვა „როსი"-კი თვით მთარგმნელის მიერ შეცდომით უნდა იყოს შეტანილი. (Крещ., стр. 160.)

ეს თითქმის წინასიტყვაობა ჩვენის აზრით საჭიროა, რათა მკითხველმა ცოტათი მაინც წარმოიდგინოს, თუ რა ლიტერატურულ ნაშთზეა ლაპარაკი და რა ხასიათისაა საზოგადოდ პრ. მარრის გამოკვლევა. მით უმეტეს აუცილებელია ეს, რადგან ბ-ნ ჯან—ის წიგნიდან, როგორც ზევით დავინახეთ, არა თუ გარეშე მკითხველი, თვით დახელოვნებული სპეციალისტიც კი ძლივს გებულობს, თუ რაზეა ლაპარაკი.

**ი. ყიფშიძე, ვ. ბერიძე.**

პეტერბურგი.

*) ამგვარივე მიზნებით ხელმძღვანელობდნენ წინადაც (მე-6 საუკ.), როდესაც დაიწერა აღათანგელის პირველი რედაქცია და რომელიც, როგორც გამოირკვა, მესროპს ეკუთვნის. ამ რედაქციას ჩვენამდე არ მოუღწევია.

უწოდოს საზოგადოებამ და ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინოს. ამ აზრით არსდება „ძმობა"-ო.

ამის შემდეგ დამსწრე პირნი ჩაეწერნენ „ძმობის" დამფუძნებელ წევრებად. ნამესტნიკის და თავის სახელით გრაფინიამ „ძმობას" ორმოცი თუმანი შესწირა, ათი თუმანი შესწირა ექსარხოსმა, შესწირეს სხვებმაც სურვილისა და შეძლებისაგვარად...

როგორც ვხედავთ, „ძმობის" მიზანი ფრიად სიმპატიური და თანაგრძნობის ღირსია, მაგრამ თვით საქმის მეთაურნი სასწავლებლის „საბჭო", ჩვენის აზრით, თავის ხელით ჩააძრჩობს და ჩააჭკნობს ამ ნორჩ საზოგადო დაწესებულებას. ამისი ნიშნები იქვე ცხადად გამოსჭვიოდა, როდესაც დამსწრე საზოგადოებას,—სულ ერთიან „ძმობაში" დამფუძნებელ წევრებად ჩაწერილს, — „საბჭოს" ხელმძღვანელნი ხელში აჩეჩებდნენ „რასპორიადიტელნი კომიტეტისათვის" მათგანვე შინაურულად არჩეულ პირებს. ამ გარემოებამ შენიშნვა გამოიწვია დამსწრე საზოგადოებისაგან და თვით ექსარხოსისაგანაც, რომელმაც მოითხოვა არჩევნები მომხდარიყო წესდების მიხედვით დახურულ კენჭის ყრით. შეუდგნენ ხმის ბარათებით შეგროვებას, მაგრამ ვერც ეს მოახერხეს და საზოგადოება ისე დაიშალა, რომ არც-კი იცოდა, ვის ხელთ დასტოვა ახლად დაარსებულ „ძმობის" ბედ-იღბალი. ეს კი მით უმეტეს საჭირო იყო გამოერკვია საზოგადოებას, რომ სასწავლებლის „საბჭოს" ხელმძღვანელთა მოქმედებაში, ახალ ექსარხოსის წინაშე თავიანთ „საქმიანობის" დემონსტრაციის მოხდენის სურვილი უფრო ჩანდა, ვიდრე „ძმობისადმი" გულწრფელი თანაგრძნობა. ამასთან ისინი „რასპორიადიტელნი კომიტეტში" ასარჩევ სულ-ერთიან სასულიერო პირებსაც თითქოს რეკომენდაციას უწევდნენ,—დაინახეთ, ესენი არიან მთელ ქალაქში სარწმუნო და კეთილ-საიმედო პირნიო...

მართლაც ქალაქის ქართველ სამღვდელოებიდან ამ ხუთიოდე მღვდლის, ანუ უკეთ გსთქვათ, დეკანოზების გარდა არც არავინ დასწრებია „ძმობის" გახსნას. ეს კი საბედისწერო ნიშანია ნორჩ „ძმობის" ნაყოფიერ მოქმედებისათვის... ამ ხასიათის „ძმობა" ანდრია პირველ-წოდებულის სახელობით დიდიხანია არსებობს ტფ. სასულიერო სემინარიასთანაც. მაგრამ ბევრმა-და იცის მისი არსებობა დღეს?! ან რას აკეთებს, რა მდგომარეობაშია ეს „ძმობა?!" ის მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, სულს დაფავს, თუმცა „მოღვაწეობის" ყოველ წლიური ანგარიშები სდგება წარსადგენად მთავრობისადმი!.. ნუ თუ ასეთი ბოლო მოელის დედათა საეპარქიო სასწავლებელთან ახლად დაარსებულ „ძმობასაც?!" და თუ ეს ასე მოხდა, მაშ 21 თებერვალს ერთი ბიუროკრატიული დაწესებულება მოემატა „სასულიერო უწყებას" ჩვენში, სხვა არაფერი!..

იმ სასწავლებლებს კი, რომლებშიაც მოწაფეთა მშობლების ნამდვილი წარმომადგენლები ზოგში არ იმყოფებიან და ზოგში ხმის ამოღებას ვერა ჰბედავენ, თუ არ ნებულობენ კრინტი დასძრან, დიახაც ესაჭიროებათ დახმარე „ძმობა", რომლის გამგენი გულწრფელნი და დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ და არა ჩინების მაძიებელნი, მუდამ სხვის თვალში შემაცქერალნი— აბა ბატონს რა ესიამოვნებაო...

ზ. ნ—ძე.

# თეატრი და ხელოვნება

**იურიევი.** ქართულ სალამოს იურიევში დიდის აღტაცებით ელოდებოდა ადგილობრივი საზოგადოება. წელს მეშვიდედ გაიმართა ქართული საღამო. აუარებელი ხალხი დაესწრო. გამოცხადდა თუ არა აფიშებში, რომ ქართ. საღ. 10 თებერვლისათვის ინიშნებაო, საზოგადოებაც მზადებას შეუდგა, განსაკუთრებით გერმანელი ქალები; არც ადგილობრივი პრესა შეეგო გულგრილად ჩვენს საღამოს და ყველაზე უფრო გავრცელებულმა გერმანულმა გაზეთმა წერილი მოათავსა ქართულ მუსიკის შესახებ, რომელშიაც ამ აზრს გამოსთქვამდა, რომ ქართველ ხალხს მდიდარი მუსიკა აქვს, მაგრამ დაუმუშავებელიაო. ქართველმა ხალხმა თვითონ უნდა წარმოშოს ნიჭიერი კომპოზიტორი, როგორც რუსეთმა გლინკა, მხოლოდ მას შეუძლიან შეისისლხორცოს სპეციფიკური თვისებები ქართულ მუსიკისა და უკვდავ ჰყოს იგიო. შემდეგ გაზეთი მიგვითითებდა გამოჩენილ რუსს კომპოზიტორებზე (გლინკა, ჩაიკოვსკი, რუბინშტეინი) და მათ ნაწარმოებიდან მოჰყავდა სხვა და სხვა ადგილი, რომელიც ქართულ სიმღერებიდან გადმოეღოთ რუს კომპოზიტორებს. „მაგრამ,—დასძენს გაზეთი,—მათ კიდევ ვერ შეეძლოთ ქართულ მუსიკის მშვენიერი, ცოცხალი ჰანგები სწორად აღენუსხათ. მათი ბუნება სულ სხვაა, ვუსურვოთ ქართულ საზოგადოებას თვითონ მოგვცეს ნაციონალური კომპოზიტორი".

დადგა 10 თებერვალიც და აუარებელი ხალხი მოაწყდა გერმანულ თეატრს „ბიურგერმუსსეს", სადაც იყო დანიშნული ქართული საღამო, ქართველ სტუდ. სათვისტომოს წევრების სასარგებლოდ. მშვენიერი, სტილიური კიოსკები ამშვენებდა შენობის თვითეულ განყოფილებას. 8 ნახ. საათზე დარბაზი გაიჭედა და ადმინისტრაციამ აღკრძალა ბილეთების გაყიდვა, მიუხედავად იმისა, რომ კასსას აუარებელი ხალხი ეხვია და იხვეწებოდა „კონტრამარკა"-ს მაინც.

არც ქართველი სტუდენტობა დარჩა ვალში. ამანაც დიდი შრომის უნარი გამოიჩინა და ჩინებულის პროგრამმით დახვდა სტუმრებს. ამ საღამოსათვის ქართულ სათვისტომომ საგანგებოდ მოიწვია პეტერბურგიდან მომღერალი ქალები პანინა და ბარზაკოვსკაია, სკრიპკის დამკვრელი ლილიან კროვი და ჩვენი ნიჭიერი კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი.

ვნახეთ სცენაზე ქართული ოპერა „თამარი"-ს მეორე აქტი, ქართული ხალხური სიმღერები კ. ფოცხვერაშვილის მიერ ჩაწერილი და დამუშავებული, ცოცხალი სურათები ისტორიულ თქმულებებიდან, ქართულად მორთული დარბაზი და ფოიები, ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ახალგაზრდობა, ჩვენებური სამუსიკო იარაღი, მშვენიერი ეროვნული ცეკვა და სხვა. გაისმოდა განუწყვეტლივი ტაშის ცემა და „ვაშა".

საღამოთი ყველა მეტად ჩასიამოვნი და კმაყოფილი დარჩა. ცეკვა დილის 4 საათამდე გასტანა, მაგრამ ხალხი არც 4 საათის შემდეგ დაიშალა.

პროფესსორებმა და გერმანელმა სტუდენტობამ სიტყვით მიმართეს ქართველ სტუდენტობას, და, სხვათა შორის, სთქვეს: „გაუმარჯოს საქართველოს, რომელმაც ამდენი წვალება და ტანჯვა გამოიარა, მაგრამ თავისი ნაციონალური ინდივიდუალობა მტკიცედ დაიცო და დღესაც შორს ჩრდილოეთში დაგვანახვა თავისი ცოცხალი და ინტერესით სავსე კულტურა".

ერთის სიტყვით, ამ საღამომ უფრო აამაღლა ქართულ საღამოის პრესტიჟი და პირველი ადგილი დაუთმო ყველა სხვა ეროვნების საღამოებს შორის. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ საღამო ოთხშაბათს გაიმართა, სამუშაო დღეს, რომელსაც ადგილობრივი საზოგადოება ძვირად თუ დასთმობს.

დიდი მადლობის ღირსია ქართველ სტუდენტობის მხრივ ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილი, რომელიც ყოველწლიწადს მხურვალე მონაწილეობას იღებს ქართულ საღამოის გამართვაში სრულიად უსასყიდლოდ. არ უნდა დაივიწყოს ქართულმა სათვისტომომ ერთ-ერთ წევრის, სახელდობრ ვ. ობრაზცოვის, შრომაც, რომელიც თუმცა ქართველი არ არის, მაგრამ ქართულ სათვისტომოსთვის დიდ შრომას ეწევა და წელსაც საღამოს გამართვაში ყველაზე მეტი შრომა მას დააწვა.

შემოსავალი ამ საღამოდან თითქმის ორი ათას მანეთს უდრის.

აკ მდევარი

—

ქართული **თეატრი.** კვირას ვლ. მესხიშვილის ბენეფისს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. თეატრი გაჭედილი იყო. მობენეფისე მხურვალედ მიიღეს. დაწვრილებით ხვალ.

—

**სახალხო სახლი.** კვირას, 21 თებერვალს, სახალხო სახლათან არსებულმა სცენის მოყვარეთა წრემ, ვ. აბაშიძის მონაწილეობით, წარმოადგინა „უდანაშაულოდ დასჯილნი". ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ სახალხო სახლის სცენის მოყვარენი მუყაითად ეკიდებიან თავიანთ საქმეს და, რამდენადაც შეუძლიანთ, მიზანს ემსახურებიან. ალბად ესაა მიზეზი, რომ ყოველ წარმოდგენას ხალხი ბევრი ესწრობა და ბილეთის შოვნა ყოველთვის საძნელოა. მართლაც რომ შრომას, მუყაითობას და საქმის სიყვარულს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიან: ყოველ მოთამაშეს ეტყობა, რომ უშრომნია და საქმის სიყვარულიც აქვს. ბევრჯერ დავსწრებივარ სახალხო სახლში გამართულ წარმოდგენებს, მაგრამ არც ერთხელ არ მინახავს, რომ რომელსამე სცენის მოყვარეს როლი არა სცოდნოდეს.

კვირის წარმოდგენაც სწორედ ასეთი იყო. ყველამ იცოდა როლი, თვითეული სცდილობდა მეორესათვის ხელი არ შეეშალა და კარგად ეთამაშნა. მართალია, დეფექტები იყო, მაგრამ უამისოდ არ შეიძლება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სახალხო სახლში სცენის მოყვარენი თამაშობენ, ისიც სულ უსასყიდლოდ და თუ თამაშობენ და შრომობენ—საქმის სიყვარული მოსდით. ზოგი სამსახურშია, ზოგი მუშაობს სადმე და თავისუფალ დროს სცენას სწირავენ და თუ ამისთანა პირობებში რაიმე შეცდომები და დეფექტია ამა თუ იმ წარმოდგენაში, ამას საპატიო მიზეზი აქვს და არავის არ უნდა გაუკვირდეს.

კვირის წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ვ. აბაშიძე (შმაგა). სცენაზე გამოსვლისთანავე აბაშიძეს ხალხი „ვაშას" ძახილით და ტაშით მიეგება. წარმოდგენის შემდეგ არტისტი ბევრჯერ გამოიწვიეს. კარგები იყვნენ ბ-ნი ზურაბიშვილი (დუდუკინი), კ. ხახანაშვილი (მუროვი), გრძნობიერად ჩაატარა თავისი როლი ა. ქიქოძემ (ოტრადინა-კრუჩინინა). არა უშავდარა პეპანოვს (გრიშა ნეზნამოვი). ეს არის მხოლოდ, რომ ზოგიერთ ადგილებში ძალა არ შესწევდა და ეტყობოდა თავს ძალას ატანდა. შედარებით რიგიანად თამაშობდნენ ქ-ნი თ. გოგოლაშვილი (გალჩიხა) და თამარაშვილი (კორანკინა), დანარჩენები ამხანაგები ხელს უწყობდნენ თამაშს.

P. S. კარგი იქნებოდა, რომ წარმოდგენის დროს კარებს არ არახუნებდნენ. არაფერი ისმის ხოლმე. არც ის არის კარგი, რომ ჩვენი რედაქციის ბილეთი გაეყიდნათ.

—

**დილა გიმნაზიაში.** კვირას, 21 თებერვალს, ტფ. ვაჟთა პირველმა გიმნაზიამ პოეტის კოლცოვის ხსოვნის აღსანიშნავად გამართა სააქტო დარბაზში ლიტერატურ-მუსიკალურ-ვოკალური დილა. თორმეტ საათზე დარბაზი ხალხით გაივსო. ყველას და ყველაფერს სადღესასწაულო ელფერი ედო. მოსწავლეებმა ლამაზად და შეგნებულად წაიკითხეს ლექსები და რეფერატები. უკრავდნენ სხვა-და-სხვა საკრავებზედ და მღეროდნენ. საზოგადოება აღტაცებით ეგებებოდა და ტაშით აჯილდოვებდა მკითხველთ და მომღერალ-დამკვრელთ. სხვათა შორის, მეოთხე კლასის მოსწავლემ ლ. ძნელაძემ წაიკითხა ქართულად თავის მიერ ნათარგმნი კოლცოვის ლექსი „სიმღერა" აი, თვით თარგმანიც:

მინდორში ქარი ზუზუნებს
და აბიბინებს ბალახსა,
ჩემს გასავლელსა გძელ გზასა
აყრის მტვერსა და ტალახსა.
აბა, გამოჩნდი ღრუბელო,
საშინელ ელვით მქუხარე,
შავად შემოსე ქვეყანა,
გახადე იგი მწუხარე!
ვაჟკაცი—გმირი დაუსტვენს,
როგორც ბულბული ველადა,
გასწევს უგზო და უკვლოთა
თვის ბედის საძებნელადა.
რა არის მისთვის გზა-კვალი,
ან და ღრუბელი—მზის მტერი,
თუ კი მას მოეწონება
გოგონას თვალი ცის ფერი!
რას ნიშნავს მისთვის წუხილი,
ან გმინვა მთა და ბარისა,
თუ კი ეკუთვნის მას გული
კეკლუცი მეგობარისა!

# პასუხად ბ-ნ ლეხაურელს

Ах, дѣти, дѣти как опасны
ваши лѣта!

„დროების" მე-35 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ ლეხაურელის წერილი „დროება"-შივე (მე 33 ნომერში) დასტამბულ წერილის პასუხად, რომელიც შეეხებოდა გურიის უმიწა-წყლო გლეხებისგან ჩოლოქში ადგილების შეძენას. ბ-ნ ლიხაურელის წერილი შინაარსით და ლოღიკის ნაკლულობით ძლიერ სუსტია და თანაც საფრთხილოა, ვინაიდან მისი წერილი მეთანხმება-შერიგების მაგივრად იწვევს შუღლს და მტრობას ორ მეზობელ საზოგადობაში. ამიტომ იძულებული ვარ, პასუხი გავცე ბ-ნ ლეხაურელს.

მე ვფიქრობ, ბ-ნი ლიხაურელი ლეხაურელი არ უნდა იყოს და თუ არის, არაფერი სცოდნია. ის მამული, რომელიც წინად ნაკაშიძეებსა და ბებურიშვილებს ეკუთვნოდათ, სამ წელიწადზე მეტია, რაც სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკს დარჩა. იგი დაშორებულია ლიხაურის და მაკვანეთის სოფლებისაგან 10-20 ვერსზე. მამულის ბანკში დარჩენის დღიდან დღემდე სთხოვდნენ ლეხაურელებს და მაკვანეთლებს, რომ მამული შეესყიდათ, მაგრამ არას გზით არ მოხერხდა; უფულოდ ბანკი უარს გაიძახოდნენ: „არ გვინდა, ჩვენი ვერ მოგვიხმარიაო". ეხლა კი, როცა საწყალმა ხალხმა შოინდომა ადგილის ყიდვა და ამაზე დიდი ხარჯი გაიღო, ბ-ნი ლიხაურელი გაიძახის „ადგილი ჩვენ გვეკუთვნის; ჩვენი სოფლების საზღვარზეა და თანაც ჩვენ თავად აზნაურობის კუთვნილებას შეადგენდა მას ჟამსა შინაო". **„სხვა ხალხს** ადგილს ვერ დაუთმობთო", ამბობს ლიხაურელი. ერთი გვიპასუხოს ბ-ნმა ლიხაურელმა, ვის ეძახის სხვა ხალხს?! ნუ თუ ჰგონია, რომ გურიაში სხვა და სხვა სოფლებში სხვა და სხვა ხალხი სცხოვრობს? ნუ თუ ჰგონია, რომ მამული ლიხაურში მცხოვრებ თავადიშვილებს ეკუთვნოდა ოდესმე, ის ესეთუოდ ლეხაურელებისა უნდა იყოს?! ან და რა მოსატანია აქ საზღვრის სიახლოვე?

წერილის მეორე ნახევარი ხომ სულ ზღაპარია, რასაც ავტორი ვერც კი დაამტკიცებს. უმჯობესია ზღაპრებს თავი დაანებოს ავტორმა და შერიგებაშეთანხმებაზე ილაპარაკოს. ლეხაურელები და მაკვანელები სამედიატორო სამართალში არ გამოვყვნენ და არც სხვა მშვიდობიანმა მოლაპარაკებამ გასჭრა მათზე, რადგან ბ-ნ ლეხაურელისთანები აშფოთებენ საქმეს და ხელს უშლიან ორი მეზობლის შერიგებას.

ვარლამ.

# წერილი რედ. მიმართ

ნება მიბოძეთ, თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ჩემი გულწრფელი მადლობა გამოუცხადო საიუბილეო კომისიის, ქართველ და სომეხ საზოგადოებას, ამხანაგ არტისტებს: ქართველებს და სომხებს, გაზეთების რედაქციებს და ყველა იმათ, რომელთაც თავიანთის მოლოცვებით, წერილებით და დეპეშით მომიგონეს 25 წლის ჩემის სამსახურისა სომხურ და ქართულ თეატრებისადმი.

**ბ. მელიქიანი.**

—

**(პასუხად ალ ილიაძეს)**

თქვენი გაზეთის მე-31 ნომერში დაიბეჭდა წერილი ბ-ნ ალ. ილიაძესი „მეაბრეშუმეთა შესახებ". ყველაფერი რასაც ავტორი ჩვენი სავაჭრო სახლის შესახებ სწერს, სიმართლეს მოკლებულია.

ბ-ნი ილიაძე გვისაყვედურებს, ვითომ ჩვენ მხოლოდ ჯიბეს ვუყურებთ და ვცდილობთ რაც შეიძლება მეტი მოვიგოთ, ცუდს იაფად ვყიდულობთ და კარგის მაგიერ ვასაღებთ. ჩვენი სავაჭრო სახლი რომ მარტო თესლით ვაჭრობდეს, მაშინ კიდევ იფიქრებდა კაცი იმის მსგავს, რას საც ბ-ნი ილიაძე ბრძანებს, მაგრამ მაავიწყდება ერთი თვალსაჩინო გარემოება: ჩვენი სავაჭრო სახლის უმთავრესი საქმე აბრეშუმის პარკით ვაჭრობაა, რომელიც ათჯერ და ოცჯერ აღემატება თესლით ვაჭრობას. თესლით ვაჭრობა ჩვენთვის იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც იგი გააუმჯობესებს პარკის ხარისხს, თორემ სახარბიელოს ის არას წარმოადგენს. კარგი თესლის გავრცელებას კარგი ხარისხის პარკის გამოტანა მოსდევს ბაზარზე და რადგან, როგორცა ვთქვით, პარკი უმთავრესია ჩვენს ვაჭრობაში და თესლი მისი მაჩანჩალა, ამიტომ ყველა მიჰხვდება, ჩვენს არსებით ინტერესს შეადგენს კარგი თესლის გავრცელება ხალხში.

ბ-ნი ილიაძე დასტირის იმ გარემოებას, რომ ხრისტოდულიდის თესლი, წინად საუკეთესოდ ცნობილი დასავლეთ საქართველოში, ეხლა აღარ ვარგაო და ამისი მიზეზი ის არის, რომ „ხრისტო ხრისტოდულიდის ცნობილი მეთესლე იყო, კარგი მცოდნე თავის საქმისა და კარგი თესლიც გამოჰქონდა გასასყიდად, ეხლაც კი, რაც ის გარდაიცვალა, მისი ფირმა ფაქტიურად უკვე აღარ არსებობს, მას განაგებს ამ საქმეში უცოდინარი მისი ძმა— თესლს ამზადებს აპოსტოლიდისი და ჰყიდის ხრისტოდულიდის თესლად. თესლი ის არ არის, რაც იყო. ამას რამდენიმე წლის მწარე გამოცდილება მოწმობს."

სცდება ბ-ნი ილიაძე, როცა ამასა ბრძანებს. ხ. ხრისტოდულიდის ფირმის თესლი შემოვიდა ჩვენში 15—16 წლის წინად და მაშინდელი კოლოფი რომ ნახოს ბ-ნმა ილიაძემ, დარწმუნდება, რომ თესლის მკეთებელი და გამაუმჯობესებელი არის მის მიერ ათვალისწუნებული სტრატ აპოსტოლიდი. ამ კოლოფზე სწერია—„აბრეშუმის ჭიის თესლი, მომზადებული თანახმად პასტერის სისტემისა; გაუმჯობესებული სტრატი აპოსტოლიდის მიერ, რომელიც ბრუსის საბრეშუმო ინსტიტუტმა დიპლომით დააჯილდოვა" და იგივე სწერია ეხლანდელ კოლოფზე, იგივე სიტყვებია განმეორებული იმ განსხვავებით, რომ ახალ კოლოფის წარწერაში ჩამატებულია ancienne maison („ძველი სავაჭრო სახლი").

ყველა მიჰხვდება, რომ თესლის მკეთებელი და გამაუმჯობესებელი აწ უკვე გარდაცვალებული ხრ. ხრისდოდულიდი კი არ იყო და არის, არამედ ბ-ნ ილიაძესაგან დაწუნებული სტრატი აპოსტოლიდი, რომელიც ეხლაც უდგია საქმეს სათავეში. თუ ბ-ნ ილიაძეს წარმოდგენილი აქვს, რომ ფირმის დამარსებელის სიკვდილს შემდეგ ყოველივე მისგან დაწყებული საქმე მტვრად იქცევა, მაშინ რაღა გვეთქმის და თუ გავითვალისწუნებთ იმ გარამოებას, რომ ფირმის დამაარსებელნი იხოცებიან და მათ მაგიეროებას მემკვიდრენი სწევენ და ხშირად ბევრად უკეთესად, ვიდრე დამარსებელნი, მაშინ ილიაძე მიჰხვდება, რომ მისი აზრი ხრ. ფირმის დაცემის შესახებ ყოველს ნიადაგს მოკლებულია. ფირმას განაგებს ხრ. უცოდინარი ძმა, ბრძანებს ბ-ნი ილიაძე. იქნება დაწვრილებითი ცნობები ჰქონდეს მას ფირმის ეხლანდელ გამგის უვარგისობის შესახებ; ამით თუ წააგებს ვინმე, ისევ ფირმა და არა თესლის მყიდველი, რადგან თესლს მკეთებელი და გამაუმჯობესებელი ის არის დღესაც, რომელიც. 5, 10 და 15 წლის წინად იყო. თუ 5 წლის წინად სტრატი აპოსტ. კარგ თესლს ამზადებდა, ეხლა რაღა ღმერთი გაუწყრა!

ავიღეთ და თანახმად ბ-ნ ილიაძის რჩევისა შევადარეთ ეხლანდელი კოლოფი წინანდელ კოლოფს, რომელშიაც, როგორც ბ-ნი ილიაძე მოწმობს, კარგი თესლი იყიდებოდა. ქართულისა, რუსულისა და ფრანგულის ცოდნა გვაქვს და ამ წარწერათა შედარებამ დაგვარწმუნა, რომ მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, იმის გარდა, რომ ჩამატებულია სიტყვები „ძველი სავაჭრო", ხოლო თესლის მკეთებელი წინადაც და ეხლაც ერთი და იგივე სტრატი აპოსტოლიდია. არ მოსწონს ბ-ნ ილიაძეს, რომ კოლოფზე „ფაბრიკის მარკა" ისევ ძველია დატოვებული იმ განსხვავებით, ვითომ ეხლა რომ ფაბრიკის მარკად არის აღნიშნული. კვლავ სცდება ბ-ნი ილიაძე: წინადაც და ეხლადაც ხრ. ხრ. სურათი ფაბრიკას მარკად არის მონათლული. თავის შემცდარ ცნობების დასამტკიცებლად ბ-ნი ილიაძე ბძანებს, რომ შარშან ხრისტოდულიდის თესლი იმდენად უვარგისი გამოდგა, რომ პოლიციაც კი ჩაერია საქმეში და სოფლიდან შეუმოწმებელ ხრ. თესლი აუარებელი გააძევაო. ჩვენ თვალყურს ვადევნებდით შარშანდელ ვაჭრობას და მართლაც ბევრი უვარგისი თესლი სადღებოდა სოფლად. ისიცკი ვიცი, რომ უვარგის თესლის კოლოფზე, [illegible] ქაღალდს აკრავდნენ [illegible] ჭრით ვამტკიცებთ, [illegible] დის თესლი [illegible] თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ [illegible] მოღვაწენი, რომ [illegible] პოლიცია, რადგანაც ხრ. თესლი [illegible] არ მოწმდება, [illegible] ლა. სწორედ მისი მსგავსი, რასაც ბ-ნი ილიაძე მოგვითხრობს არა მომხდარა-რა.

ბ-ნ ილიაძის დასამშვიდებლად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა შარშან საბრეშუმო სადგურის წარმომადგენელი მოხელე უვარგის თესლს სწვავდა, იმავე მოხელემ შესაძლებლად არ დაინახა ამნაირადვე მოჰქცეოდა ხრ. თესლს, რომელიც იმდენად საიმედო მიიჩნდა, რომ თუმცა უბანდეროლო იყო, არა სწვავდა, რაც, თუ ბ-ნი ილიაძე დაგვეთანხმება, სრულებით არ ეთანხმება მის მიერ მოთხრობილ ფაქტებს ხრ. თესლს უვარგისობის შესახებ. რაც შეეხება თესლის წრევანდელს ვაჭრობას, ბ-ნ ილიაძის დასაიმედებლად ვცხადებთ შემდეგს: ჩვენ მის მიერ ათვალისწუნებულ ფირმისაგან მიღებული თესლს არც ისე თვალ-დახუჭული უყურებთ, როგორც ბ-ნ ილიაძეს ჰგონია. მიღებისთანავე თესლის ერთი ნაწილი, 5000 კოლოფი გავგზავნეთ შესამოწმებლად კავკასიის საბრეშუმო სადგურში და თ'ლი უკვე მივიღეთ უკლებლად თეთრი ბანდეროლით, რაც იმას ნიშნავს, რომ თესლი საუკეთესო ხარისხისაა.

დასასრულ, ბ-ნი რედაქტორს, ამ წერილთან ერთად ვარდგენთ ძველი დროისა და ეხლანდელ კოლოფს, რაც დაგარწმუნებთ იმაში, რომ ჩვენ მიერ აღნიშნული შეუსაბამობა ბ-ნ ილიაძის წერილისა ლიტონი სიტყვა კი არ არის, არამედ საბუთზე დამყარებული ჭეშმარიტება, და, გარდა ამისა, საბრეშუმო სადგურის მოწმობას, რომ ჩვენგან გაგზავნილი თესლი ხრისტოდულიდისა (5000 კარ.) კარგი თვისებისაა.

სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის შვილები".


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილ-ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—55)

**ზედა იუბკა!**

2 მან. 75 კ. გვზავნი ფოსტით, ფას-დადებით, დამზადებულს ქალის მალის ზედა იუბკას, ტრიკოსას, მკვიდრს, ყოველ გვარ მოდ-ფერისას, მეჯერილს და დამზადებულს უკანასკნელ მოდაზე.

ასეთივე იუბკა წმინდა მალის შევიოტისა —3 მ. 25 კ. გაგზავნა 35 კ. ვინც 3 იუბკას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს ქარხანა გადიხდის.

ვგზავნი აგრეთვე ნაჭრებს ქალის ხალათისათვის, საზღვარ-გარედ დამზადებულს აბრეშუმის დანაკერებით: წინ, ხელებზე და საყელოზე. 3 ნაჭერი 3 ხალათისთვის 4 მ. 50 კ. ვინც ამას იუბკებთან ერთად დაიკვეთს—მხოლოდ 3 მ. 75 კ. (ზომა იუბკებისა სანტიმეტრებით უნდა აღინიშნოს, ან ზომა უნდა გამოიგზავნოს). საშიშო არაფერია: ვისაც საქონელი არ მოეწონება, ფულს უკან დაუბრუნებთ.

ადრესი: Лодзь, 1-ое отд. фирма М. А. Бабушкинъ. Д.

(Метцль и К-о. N 11360). (3—6.—2)

**მიიღება ხელის მოწერა** ორ-კვირეულ ჟურნალ **ესპერანტოს** ენაზე, სიტყვების და წინადადებების ქართულ, სომხურ და რუსულ ენაზე განმარტებით

წელიწადი 1 მან. რუსეთში

# „კავკაზიის ესპერანტისტი"
„KAJKAZA ESPERANTISTO"

წელიწადი 1 მ. 50 კ. საზღ.-გარ.

— ჟურნალის მიზანია ესპერანტოს ენის გავრცელება კავკასიის მცხოვრებთა შორის. სხვა და სხვა სტატიების გარდა, ჟურნალში მოთავსებული იქნება სისტემატიური გაკვეთილები ესპერანტოს ენის შესასწავლად რუსულ, ქართულ და სომხურ ენების შემწეობით. ჟურნალში პასუხი მიეცემა ყოველ კითხვაზე ამ ენის შესახებ ხელის მომწერლებს.

ხელის მოწერა მიიღება: 1. მიხეილის პროსპ., № 98 ძძ. ჰაჯიევების მაღაზიაში; 2. პუშკინის პასაჟი, ს. სოლომონიანცის ცინკოგრაფიაში; 3. კვირაობით, 11—12 საათ. ვაჟთა პირველ გიმნაზიაში.

სხვა ქალაქებიდან: Тифлисъ, Панасевича ул., № 1. Айку Теръ-Аствацатряну. (3—3)

◀ **ქუთაისში ქირავდება** ▶

# სიცოცხლის წყაროს

რესტორანის ბინა ბაღით. ქარვასლის ქუჩის ბოლოში თეთრ ხიდთან. გაქირავების პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება სახლის პატრონთან ეზოში, ანუ მის რწმუნებულ ივანე ბარქაიასთან მაღაზიაში. (10—კვ.—6)

**ტ ა რ უ მ ო ვ ი ს ს ტ ა მ ბ ა ს თ ა ნ**

ტფილისში, ბარონსკისა და დიდი ვანქის ქუჩების კუთხეში,

# გაეხსენით ქაღალდ-ტოპრაკების ქარხანა

**ამ ფირმით:**

# — ამხანაგობა „ზვეზდა", —

სადაც ვაზადებთ სხვა და სხვა ზომის ტოპრაკებს, როგორც უბრალოებს, ისე ნაკეციანს გარმონის მსგავს, შემკვეთელ ფირმის ბეჭდით ან უბეჭდოთ. მზადდება ელექტრონის მანქანით, რომელიც საზღვარ-გარეთიდან მივიღეთ.

შეკვეთილ საქმეს ვაკეთებთ ხელმისაწვდენ ფასად, სწრაფად, კარგად და სინიდისიერად. ტფილისს გარედ მცხოვრებთ ტოპრაკები გაეგზავნებათ ფასს-დადებით ბეს მიღების შემდეგ.

აქვე მიიღება ყოველგვარი სასტამბო საქმე.

ადრესი წერილებისთვის: Тифлисъ, фабрика бумажныхъ мѣшковъ, Т-во „Звѣзда".

ტელეგრამებისთვის: Фабрика „Звѣзда".

(6—147—3)

პატივისცემით **ამ—ბა „ზვეზდა"**.


სტამბა „ხინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.